საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცყუილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უპატიოსნებაზე უსამაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.
პარასკევი, 27 სექტემბერი, 2013 წელი.
№185 (7312)
ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge
ვებ გვერდი: www.open.ge
ფასი 50 თეთრი.

**აფხაზეთის მთავრობის მიმართვა**

## გავერთიანდეთ აფხაზების დაბრუნების და აფხაზეთში დაბრუნებისთვის

**აფხაზეთის ტრაგედიის 20 წლისთავი**



აფხაზეთის ა/რ მთავრობა და აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის 20 წლისთავთან დაკავშირებით აფხაზეთის მოსახლეობისადმი მიმართვას ავრცელებენ.

„1993 წლიდან ყოველი 27 სექტემბერი განსაკუთრებით მძიმე და ტკივილიანია სრულიად საქართველოსა და განსაკუთრებით აფხაზეთიდან დევნილი ჩვენი თანამემამულეებისათვის.

ჯვართამაღლების ბრწყინვალე დღესასწაული იძულებით გადაადგილებულთა საერთო სატკივარის – აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გარშემო მიმდინარე პროცესების გაანალიზების და ამ მიმართულებით სამთავრობო სტრუქტურების პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის მიერ გადადგმული ნაბიჯების შეჯერების სიმბოლური თარიღი გახდა. 20 წლის განმავლობაში აფხაზეთის პრობლემის გარშემო მიმდინარე ყოვლად უშედეგო პროცესების და რუსეთის იმპერიის მიერ 2008 წლის 26 აგვისტოს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების ფონზე ძნელია ანუგეშო აფხაზეთის მკვიდრნი, განსაკუთრებით შვილდაღუპულთა ოჯახები. დრო ვერ აფერმკრთალებს სამშობლოს წინაშე ჩვენი საერთო ვალდებულებების უზენაესობას, ვერ ამსუბუქებს თავისსავე ქვეყანაში იძულებით ადგილნაცვალ ადამიანთა გაუსაძლის სულიერ და ფიზიკურ ყოფას.

მაგრამ, მარტო სინანულით საქმეს ვერ ვუშველით. დღეისთვის, რითაც შეიძლება ვიამაყოთ – ეს არის ჩვენი თანამემამულეების სამოქალაქო გმირობა, რაც გამოიხატა მათ ჭირთათმენაში, სულიერ და ფიზიკურ სიძლიერეში, ფსიქოლოგიურ წონასწორობასა და პოლიტიკურ კულტურაში. მიუხედავად გაუსაძლისი ყოფითი პირობებისა და სოციალური მდგომარეობისა, აფხაზეთის დევნილმა საზოგადოებამ აღზარდა ახალი განათლებული თაობა, რომელიც საკუთარ სიტყვას ამბობს ეკონომიკაში, მეცნიერებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, კულტურასა და სპორტში, სახელისუფლებო სტრუქტურებში წარმატებული მოღვაწეობით.

გვეამაყება, რომ დევნილმა საზოგადოებამ თავისი მოკრძალებული მატერიალური შესაძლებლობების მიუხედავად, მისთვის ხელმისაწვდომი ინვესტიციები ჩადო შვილების განათლებაში, მომავალი თაობის ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლებაში და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცა მომავალზე, უკეთეს მერმისზე გათვლილი მაღალი ზნეობის ცხოვრების წესის მიმდევრობა.

სწორედ ეს გახლავთ ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი, რომლითაც ჩვენი საზოგადოება 27 სექტემბერს მივა გმირთა მოედანზე და მუხლმოდრეკილი პატივს მიაგებს იმათ ხსოვნას, ვინც ყველაზე ძვირფასი – საკუთარი სიცოცხლე მიიტანა სამშობლოს სამსხვერპლოზე. ჩვენი მომავალი თაობები გულწრფელი მადლიერების და უდიდესი პატივისცემის გრძნობით განადიდებენ მათ სახელებს, გააგრძელებენ ბრძოლას საკუთარი კარმიდამოს დასაბრუნებლად და ქვეყნის გასამთლიანებლად.

იხ. 2 გვ.

## ეს იყო ჯოჯოხეთი 6

## ხომ არ აჯობებდა აშშ-თან ერთ-ერთ შტატად მიერთება?! 5

**პრეზიდენტი სააკაშვილი გაეროში:**

## „რუსეთელებს ემახსოვრებათ პუტინი, როგორც ძველი დროის აჩრდილი...“ 8

## „ევრაზიული კავშირის ამჟამინდელმა კონცეფციამ ძნელად რომ საქართველო მიიზიდოს“

## „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე ციხე არ არის“ 9



## პარლამენტი ბორბლებზე, ჩამოტარებით! 4

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერ-მინისტრისა და ექსპერტების შეხვედრის კვალდაკვალ

# ბიძინა ივანიშვილი: ექსპერტებმა საკუთარი სიტყვების დევალვაცია არ უნდა მოახდინონ



**ბიზნესცენტრში ბიძინა ივანიშვილისა და ექსპერტების შეხვედრა 25 სექტემბერს უჩვეულო და დაძაბულ რეჟიმში წარიმართა. ერთი შეხედვით, ყველაფერს კოჰაბიტაციის ელფერი დაჰკრავდა და პრემიერი ექსპერტების არგუმენტების მიუხედავად, შეუვალი იყო. გაკეთდა შეფასებებიც, რომ „ივანიშვილმა მასტერკლასი ჩაუტარა ექსპერტებს".**

**განსაკუთრებული პაექრობა პრემიერსა და ექსპერტ კახა კახიშვილს, ასევე, ექსპერტ მამუკა არეშიძეს შორის წარიმართა, რომლებსაც ივანიშვილი საკუთარ ახლო მეგობრად მოიხსენიებდა და ამიტომაც გაიმეტა მათთვის შენიშვნები.**

პრემიერის მხრიდან ისეთი მესიჯები ისმოდა, რომ სამართლიანობის სხვა ფორმით აღდგენა წარმოუდგენელია: **„რა ვქნათ? ყველა გავასამართლოთ? ქონების დაბრუნება წარმოუდგენელია, სახელმწიფოს არ აქვს ამის საშუალება". პრემიერის ნათქვამიდან ისიც გავიგეთ, რომ „არჩილ კბილაშვილი ევროპელებსაც მოსწონთ და ამერიკელებსაც...", „მართალია, ხშირად, ლაშა ნაცვლიშვილი წყვეტს იმ საკითხებს, რაც კბილაშვილის გადასაწყვეტია, მაგრამ ასეთი კაზუსები შეიძლება...". მეტიც, პრემიერის თქმით, პროკურორებიც სისტემის მსხვერპლნი იყვნენ, ადეიშვილი კი ნიჭიერი კაცი იყო, რომელიც მისი მთავრობის პირობებში სახელმწიფოში ყველაზე კარგი ჩინოვნიკი იქნებოდა, თუმცა იგი ზეწოლას დაექვემდებარა.** უფრო მეტიც, მერაბიშვილი მუდმივად აოცებდა ივანიშვილს თავისი ეკონომიკური ანალიზით და, როდესაც ეკითხებოდა, საიდან იცოდა ამდენი, პასუხობდა — ადეიშვილია ჩემი მასწავლებელიო. ამიტომ, ბიძინა ივანიშვილს სულ აინტერესებდა მისი გაცნობა და ეს ვერ მოახერხა. ამის მიუხედავად, პრემიერი თვლის, რომ **პირწავარდნილი ნაცები დღეს „ოცნებაზე" პირჯვარს იწერენ და სადღეგრძელოებს ამბობენ.**

გარდა ამისა, ბიძინა ივანიშვილმა არ დამალა, რომ **„ჩვენ უარი ვთქვით ანგარიშსწორებაზე, რადგან მხოლოდ ერთი-ორი კაცი თუ შეიძლება ნახო, რომელიც მუშაობდა პროკურატურაში, ან პოლიციაში და დანაშაულში არ აქვს მონაწილეობა მიღებული". ასე რომ, პრემიერის თქმით, ახალმა ხელისუფლებამ უარი თქვა ანგარიშსწორებაზე და არ იმოქმედა ყოფილი ხელისუფლების მსგავსად, პროკურორებთან და მოსამართლეებთან მიმართებაში.**

„თქვენ გინდათ, რომ სახელმწიფოც შეინარჩუნოთ ასეთი ფორმით, რომ ევროპისკენ გავაგრძელოთ სვლა, გავაგრძელოთ ამერიკელებთან საუბარი, საჯარო მოხელეები შევინარჩუნოთ, თუ ერთბაშად ყველაფერი ავასრულოთ, რასაც რევოლუცია ჰქვია?!" — იკითხა ივანიშვილმა.

ამ შეხვედრის შემდეგ საზოგადოებამ შეიტყო, რომ **სამართლიანობის აღდგენის დიდი ნაწილი შესრულებულია, დანარჩენი — პროცესშია.** ამით პრემიერი კახი კახიშვილის განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თქმითაც, სამართლიანობის აღდგენის დანაპირები არ სრულდება და, რაც ადამიანებს ცხრა წლის განმავლობაში წაართვეს, არავის არაფერი დაბრუნებია, ხოლო პარლამენტის უმრავლესობის მიერ აღიარებული 200 პოლიტპატიმრიდან არც ერთი არ არის რეაბილიტებული.

პრემიერის განცხადებით, სამართლიანობის აღდგენის პროცესში ყველაზე რთულია წართმეული ქონების საკითხი. მისი თქმით, ეს არის ყველაზე მასიური საქმე, რადგან წინა ხელისუფლების პირობებში, 9700 შემთხვევა არის მხოლოდ ე.წ. „ჩუქება", როდესაც მოქალაქემ ქონება ხელმოწერით, იძულებით აჩუქა სახელმწიფოს. საერთო თანხა კი 6-7 მილიარდი ლარია და 80%-ის შემთხვევაში, ამ პროცესების თანამონაწილე სახელმწიფოა.

პრემიერი ექსპერტების კომპეტენციასაც შეეხო და მათ მოუწოდა, ნუ გააკეთებენ გაუაზრებელ განცხადებებს. მან მამუკა არეშიძის გამონათქვამების ციტირებით დაიწყო და დაინტერესდა, რას ნიშნავდა არეშიძის ნათქვამი: „პრემიერს ინფორმაციას უმალავენ"; „ივანიშვილის წასვლას რევანშიზმი მოჰყვება"; „ქვეყანაში არ ჩანს სტრატეგიული გათვლა"; „ქაოსია ქვეყანაში"; „ოცნების წარმომადგენლები ნაციონალების მეწილეები არიან".

ასევე, პრემიერმა ექსპერტ ვაჟა ბერიძის გამონათქვამები დაიწუნა: „პოლიტიკური კრიზისი უკვე არსებობს", „კოალიცია დაშლილია", „ივანიშვილი დასავლეთმა არ მიიღო", „არჩევნების მეორე ტური გარდაუვალია".

შემდეგ ექსპერტ რამაზ საყვარელიძის ჯერიც დადგა: „ოცნების მხარდაჭერა კლებულობს", „პრემიერის წასვლა არის გაქცევა".

სხვათა შორის, ექსპერტებთან შეხვედრისას ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ხშირად ისმოდა სიტყვები: **„თქვენ ექსპერტები ხართ, ამის პრეტენზია გაქვთ და დევალვაციას ნუ უკეთებთ საკუთარ სიტყვებს".**

„ექსპერტი ასეთ რამეს რომ თესავს ქვეყანაში, ექსპერტები ასეთ გამონათქვამებს რომ იყენებთ, საზოგადოებამ რა უნდა თქვას? მადლობა საზოგადოებას, რომ ამას არ იძახის. თუ ეს არ გამართლდება, ამით ხომ თქვენ, როგორც ექსპერტებს, ფასი დაგეკარგებათ? თქვენს გამონათქვამებს დიდი მნიშვნელობა აქვს, უფრო მეტი, ვიდრე ჟურნალისტებს, რომლებიც ამას ტირაჟირებას უკეთებენ. რა უფლებით ამბობთ, რომ ვერ ვასრულებთ დანაპირებს, როცა ჯერ გასულია მხოლოდ 10 თვე... შეიძლება, სასამართლოში გადასაცემიც კი იყოს ზოგიერთი თქვენგანი", — მიმართა ექსპერტებს ბიძინა ივანიშვილმა.

მამუკა არეშიძე მას შეეკამათა, რომ ადამიანები, რომლებსაც სხვისი ქონება აქვთ მითვისებული, კოალიციის ერთ-ერთ პარტიაში იმყოფებიან. მაგალითად, გარდაბნის რაიონის მაჟორიტარი ფეიქრიშვილი და მისი „მიმყოლები" დღეს „კონსერვატიული პარტიის" წევრები არიან, რომლებმაც მიწები მიითვისეს გარდაბნის რაიონში.

მისივე თქმით, ჟურნალისტები სვამენ იმ შეკითხვებს, რაც საზოგადოებაშია და მათაც, როგორც ექსპერტებს, ევალებათ მასზე პასუხის გაცემა. უფრო მეტიც, არეშიძის თქმით, ჟურნალისტები შეკითხვებს თვითონ არ იგონებენ და ესეც საზოგადოებრივი განწყობის მაჩვენებელია, თუკი ისინი ანგაჟირებული ჟურნალისტები არ არიან.

**ბიძინა ივანიშვილთან** შეხვედრის შემდეგ for.ge ექსპერტებსა და პოლიტიკოსებს ესაუბრა.

ექსპერტი კახა კახიშვილი ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ პრემიერის კომუნიკაცია ექსპერტებთან მისასალმებელია და კარგი იქნება, თუ პრემიერის მსგავსად, მინისტრებიც გააგრძელებენ საზოგადოებასთან კომუნიკაციას. რაც შეეხება კონკრეტულ კითხვებს, კახა კახიშვილი აცხადებს, რომ მისთვის, ისევე, როგორც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის სამართლიანობის აღდგენის თემა მეტად მნიშვნელოვანია.

**„საბოლოოდ პრემიერისგან ის მაინც გავიგე, რომ ამ საკითხზე კითხვები აღარ იქნება და ეს საკითხი მოგვარდება ისე, რომ კითხვები აღარ იარსებებს. თუმცა ვერ გავიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ პროკურატურას არ ჰქონდა დრო, ან საკმარისი რესურსი, რომ დროულად მოეხდინა სამართლიანობის აღდგენის უზრუნველყოფა. რაღაც შედეგი შეიძლებოდა დადებულიყო, დღეს კი ასეთი შედეგი არ არის",** — გვითხრა კახა კახიშვილმა.

პრემიერ-მინისტრის ექსპერტებთან შეხვედრას „თავისუფალი საქართველოს" ლიდერი კახა კუკავა ისტერიკად აფასებს. მისი აზრით, **ამაში მასტერკლასი არაფერი ყოფილა და, სამწუხაროდ, ყველა ექსპერტმა ვერ გამოავლინა პრინციპულობა.** თუმცა კახა კუკავა აცხადებს, რომ ექსპერტმა კახა კახიშვილმა პრემიერ-მინისტრს დელიკატურად და კონსტრუქციულად უთხრა სათქმელი, რომ არანაირი ობიექტური მიზეზი სამართლიანობის აღდგენის შეფერხების პროცესში არ არსებობს.

„ამის მიზეზი მხოლოდ პრემიერ-მინისტრის ფარისევლობა და მისი გარემოცვის კორუფციაა. **„ქართული ოცნება" სამართლიანობის აღდგენას არ აპირებს და პრემიერმა პირდაპირ თქვა, რომ ეს შეუძლებელია",** — აღნიშნა კახა კუკავამ.

ჩვენ ექსპერტ ვაჟა ბერიძესაც დავუკავშირდით. მან აღნიშნა, რომ მარტივი არ იყო პრემიერს ექსპერტებისთვის აეხსნა, რომ მათი ზოგიერთი მოსაზრება დასაბუთებული არ იყო და სუბიექტური გახლდათ. სწორედ ამან გამოიწვია კამათი მხარეებს შორის. თუმცა **ვაჟა ბერიძე მიესალმება პრემიერის გახსნილობას, რომელიც არ აპირებს მისთვის მიუღებელი მოსაზრებების ავტორებთან კულუარულ ბრძოლას.**

„იგი საკუთარ შეხედულებებს ღიად აფიქსირებს. გარკვეული თვალსაზრისით, ეს წამგებიანია, რადგან საზოგადოება შეუმცდარია და მან კარგად იცის, ვინ არის ორ მხარეს შორის მართალი. საკუთარ თავზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ არა მგონია, თავიანთი შეფასების დასაბუთებაში ეშლებოდეთ ისეთ პროფესიონალებს, როგორებიც არიან ზაზა ფირალიშვილი, მამუკა არეშიძე, რამაზ საყვარელიძე, ალექსანდრე რონდელი და ყველა ის ექსპერტი, რომელიც საკამათოდ იყო მიწვეული პრემიერთან. ბევრი მათი პროგნოზი გამართლებულა ბოლო 20 წლის განმავლობაში. პრემიერი პოლიტიკიდან მიდის და მიუხედავად ამისა, კარგია, რომ არენაზე იხარჯება", — აღნიშნა ვაჟა ბერიძემ.

მისი თქმით, **წინა ხელისუფლების დროს ექსპერტების ნათქვამზე არანაირი რეაქცია არ იყო და ექსპერტები წერდნენ და კითხულობდნენ. ამჯერად, როგორც ჩანს, პრემიერი ეცნობა ექსპერტების მოსაზრებებს, თუმცა ვაჟა ბერიძე იმედოვნებს, რომ პრემიერისთვის ცალკეული სამსახურის მიერ მიწვდილი ამონარიდის გარდა, ბიძინა ივანიშვილი მომავალში მაინც ყველა წერილს თავიდან ბოლომდე წაიკითხავს და მხოლოდ ამონარიდით არ შემოიფარგლება.**

**მანანა ნოზაძე**

აფხაზეთის მთავრობის მიმართვა

# გავერთიანდეთ აფხაზების დაბრუნების და აფხაზეთში დაბრუნებისთვის

(პირველი გვერდიდან)

უნდა ვაღიაროთ — სახელმწიფოს მიერ 20-წლიანი უნიათო პოლიტიკის შედეგია ის, რომ დღეს მოსახლეობაში აფხაზეთის პრობლემის მოგვარების მიმართ სრული უიმედობა და ნიჰილიზმი შეიმჩნევა, რაც მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებითაა განპირობებული. შედეგად წლების მანძილზე ჩამოყალიბდა გაუცხოების პოლიტიკა, სახელისუფლებო სტრუქტურების და დევნილი საზოგადოების ფართო მასების, მის ინტელექტუალურ და პოლიტიკურ ძალებს შორის, რაც გამოწვეული იყო აფხაზეთის პრობლემის დარეგულირების, დევნილთა სოციალური საკითხების მოგვარების საქმეში მათი პოტენციალის გამოყენების აშკარა იგნორირებით. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს და მთავრობას დაუშვებლად მიაჩნიათ დევნილთა პრობლემებთან დაკავშირებული პროცესების არსებული სახით განვითარება და მოუწოდებს დევნილთა პრობლემებით დაკავებულ, როგორც სახელმწიფო, ასევე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და პოლიტიკურ ძალებს აქტიური თანამშრომლობისაკენ. გვჯერა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისა და დევნილთა სოციალური პრობლემების გადაჭრის საკითხებზე სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესებში გათვალისწინებული იქნება აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მონაწილეობის საკითხი.

გამოვხატავთ მადლიერებას და მივესალმებით დაღუპული გმირების ოჯახების მიმართ მთავრობის მიერ ბოლო დროს გადადგმულ ნაბიჯს, რომელიც მატერიალურზე მრავალჯერ უფრო ზნეობრივი, სამართლიანობისა და ჰუმანური დატვირთვის მატარებელია. იმედია, რომ ასეთივე ყურადღება მიექცევა საომარი მოქმედებების დროს ათასობით ომის ინვალიდებს, რომელთაც პირნათლად მოიხადეს თავისი პატრიოტული ვალი სამშობლოს წინაშე. ეს ომის ქარიშხალგამოვლილი ვეტერანები დაღუპულ გმირებთან ერთად სწორედ ის ხალხია, ვინც მომავალი თაობების პატრიოტული აღზრდისათვის ხელშესახები და მისაბაძი მაგალითია.

მოვუწოდებთ დევნილ თანამემამულეებს, მიუხედავად მათი უმძიმესი სოციალური, ყოფითი, ურთულესი მორალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობისა, ბოლომდე შეინარჩუნონ სიმშვიდე და მოთმინება და გამოიჩინონ მათთვის ჩვეული მაღალი შინაგანი და პოლიტიკური კულტურა, რათა ერთობლივი ძალისხმევით შევძლოთ ყველა საჭირბოროტო პრობლემის, ჩვენი უფლებების ცივილიზებული, სამართლებრივი გზებით მოგვარება და დაცვა.

ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ისტორიული სამართლიანობა აღდგება, აფხაზი და ქართველი ხალხები კვლავ ერთად იცხოვრებენ მშვიდობისა და ურთიერთგაგების გარემოცვაში. დადგება ჟამი შეცდომების აღიარებისა, ურთიერთმიტევებისა და მონანიებისა, ჩვენი საერთო მტრის მხილებისა და დაგმობისა.

ჩვენი სანუკვარი მიზანი ერთია: გავერთიანდეთ აფხაზეთის დაბრუნებისა და აფხაზეთში დაბრუნებისათვის გაერთიანებული და გაბრწყინებული საქართველოსათვის,,, — ნათქვამია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს ერთობლივ განცხადებაში.



# პოლემიკა ექსპერტებთან

**მხოლოდ რამდენიმე წუთი დაეთმო 25 სექტემბრის შეხვედრაზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მავთულხლართებს – არ იყო ეს ლია ეთერით განსახილველი... ძნელი გასაზიარებელია ასეთი პოზიცია, ვინაიდან რაღაცის, მცირეოდენის, ნაკლებად მნიშვნელოვანის თქმა შეიძლებოდა და, ვფიქრობ, აუცილებელიც იყო.**

მავთულხლართები, ოკუპირებული ტერიტორიის გაფართოება ენერგიული მცოცავი ოკუპაციაა, ომი არ დასრულებულა, გრძელდება. ერთ მხარეს საქართველოს პოლიტიკური სტრატეგია, ტაქტიკა, დიპლომატია და მეორე მხარეს სახელმწიფოს რეალური, ყოველდღიური ქმედება – ორი ერთმანეთთან შეუსაბამო რეალობაა. 2008 წლის ომზე „საქართველოს რესპუბლიკაში" ბევრი რამ დაბეჭდილა, მაგრამ მაშინ საზოგადოებას, ეტყობა, სხვა რამ აწუხებდა, ხელისუფლებას კი სულ სხვა მოსაზრება ჰქონდა. ცატაოდენის გახსენება არ გვაწყენდა: **„პუტინ-მედვედევის გარემოცვის და მოსახლეობის 75-80% თვალთახედვით, მანამდე, სანამ იარსებებს თუნდაც ერთი შესაძლებლობა (არა აქვს მნიშვნელობა ლეგიტიმური თუ პირიქით) საქართველოს სახელმწიფოებრიობის დესტაბილიზაციისა, ის (საქართველოს რესპუბლიკა) მხოლოდ დროებითი გაურკვევლობაა საბჭოთა კავშირის ყოფილ რუკაზე"** („საქ. რესპ." 29.12.2010).

მაშინ მკითხველს ოდნავი ეჭვი გაუჩნდა: ვისღა ახსოვს საბჭოთა კავშირიო – საკუთარ მეხსიერებას ეყრდნობოდა მკითხველი, სამწუხაროდ... **„რუსეთი – საბჭოური საზოგადოებაა; რუსეთი – საბჭოური აზროვნებაა; რუსეთი – საბჭოური იდეოლოგიაა, საბჭოური პროპაგანდით; რუსეთი – საბჭოური ჯარია, საბჭოური შეიარაღებით და ომის წარმოების საბჭოური ტაქტიკით; რუსეთი – ის ქვეყანაა, რომლისგანაც ყველაფერია მოსალოდნელი და რომელიც რეალურ საშიშროებას წარმოადგენს; რუსეთი – ის ქვეყანაა, რომელიც ცდილობს საბჭოთა კავშირის აღორძინებას სამხედრო გზით; რუსეთი – ის ქვეყანაა, რომლისთვისაც გენეტიკურად უცხოა და მიუღებელი დასავლეთ ცივილიზაციის ფასეულობები".** („საქ. რესპ." 07.08.2011). მაშინაც ასეთი ანალიზი მასობრივ კრიტიკას არ იწვევდა, მაგრამ ავტორის გადამეტებულ ემოციურობად აღიქმებოდა. **„ერი, რომელიც გულგრილია თუნდაც მცირედი მოვალეობისადმი, მცირედი სამართლიანობისადმი, მცირედი სიმართლისადმი, ერი, რომელიც არ აღიარებს ადამიანურ ღირსებას, რომელიც საერთოდ არ სცნობს თავისუფლებას, არც თავისუფალ აზროვნებას ცნობს..."** ა.ს. პუშკინი. („საქ. რესპ." 07.08.2011). ამ ციტატამ ერთგვარი კამათი გამოიწვია. პუშკინს, რასაკვირველია, არავინ შეხებია – ეჭვობდნენ, იყო თუ არა დროული ან „ზრდილობიანი" მისი გახსენება. ალბათ დროული იყო, ვინაიდან რუსეთის დღევანდელი ქმედება პუშკინის ამ გამოთქმაში თითქმის მთლიანადაა მოქცეული. რუსეთის მიერ ოკუპირებული და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებული საქართველოს ტერიტორიების საზღვრების რეალური მონიშვნა და ამასთანავე ამ საბაბით ოკუპირებული სივრცის გაფართოება არის სრულიად ლოგიკური სვლა, რომელიც საქართველოს ბუნდოვანი პოლიტიკური პოზიციიდან გამომდინარეობს. ერთი მხრივ საქართველო ოკუპაციაზე გაჰყვირის და ჩივის, მეორე მხრივ, მას არ გააჩნია ჯერ კონცეფცია, შემდეგ დოქტრინა და ბოლოს, ამ ორიდან გამომდინარე – სამართლებრივი (დაწყებული კონსტიტუციიდან და საკანონმდებლო აქტებით დამთავრებული) დოკუმენტები. „ლამაზად" და ფართო მასებისთვის თავბრუდამხვევად მოლაყბე პოლიტიკოსებს რომ არ დავემსგავსოთ, მინიშნება გავაკეთოთ: **კონცეფცია – შეხედულებათა სისტემა ან მთლიანი შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე; დოქტრინა – მეცნიერული, ფილოსოფიური თეორია, სისტემა.** კონცეფციის და დოქტრინის არარსებობა იმ იურიდიული (ზოგ შემთხვევაში პრევენციულ-გამაფრთხილებელი) დასაყდენის არქონას ნიშნავს, რომლის გარეშე უბრალოდ შეუძლებელია რაიმე ლეგიტიმური, საერთაშორისო დონეზე დასადები გადაწყვეტილების მიღება და მითუმეტეს პრაქტიკულად მოქმედება. ამიტომ საქართველოს ტირილ-კივილის მეტი არაფერი დარჩენია. რუსეთისთვის კი მსოფლიოს მიერ მისი „დატუქსვა" მხოლოდ პოლიტიკური ხმაურია, რომელიც არავითარ მნიშვნელოვან სანქციებში არ გადაიზდება. რუსეთისთვის „ხმაური" მხოლოდ გამაღიზიანებელია, მაგრამ არა ხელისშემშლელი – გადაიკითხეთ ზევით მოყვანილი პუშკინის ციტატა. საქართველოსთვის აფხაზეთის და ჩრდილოეთი ოსეთის სახელმწიფოები ოფიციალურად არ არსებობენ. ამრიგად, საქართველოსთვის ამ სახელმწიფოების საზღვრებიც არ არსებობენ – რუსეთისთვის არსებობენ და ის მათ ამაგრებს და აფართოებს. თუ საქართველო კონცეპტუალური მიდგომის გარეშე, დოქტრინის და მათთან მისადაგებული კანონმდებლობის გარეშე რაღაცას წაილუღლუღებს საზღვრების შესახებ – ეს აფხაზეთის და ჩრდილოეთი ოსეთის სახელმწიფოების, მათი საზღვრების ლეგიტიმურობის ირიბად მონიშვნა, არაპირდაპირი აღიარება-თანხმობა იქნება. **სახელმწიფოს კონცეფცია, დოქტრინა, კანონი ყოველგვარ ირიბ თანხმობას, არაპირდაპირ მონიშვნას აბათილებენ და პრაქტიკულ ქმედებას ლეგიტიმურობას ანიჭებენ.** იბადება ორი კითხვა:

**1. რატომ არ არსებობს (ყოველ შემთხვევაში მოსახლეობისთვის ამის თაობაზე არაფერია ცნობილი) ქვეყნის უშიშროების კონცეფცია და სამხედრო დოქტრინა?**

ქვეყნის სამხედრო დექტრინა არ არსებობს, ვინაიდან მას წინ არ უძღვის ქვეყნის უშიშროების კონცეფცია. უშიშროების კონცეფციის შესაქმნელად, როგორც მინიმუმ, კონცეპტუალურად აზროვნების უნარია საჭირო. ასეთი უნარის დეფიციტი ძალაუნებურად ოდნავ უკან გვაბრუნებს – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" ამა წლის 18 სექტემბერის სტატიისკენ: „ოცნების" დამუხრუჭება: „...დილეტანტობა ...ზერელე ცოდნას, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას ნიშნავს. უბრალოდ უვიცი, გაუნათლებელი ადამიანისგან დილეტანტი გაუმართლებელი თავდაჯერებულობით, მისი გარემოს, მისი საქმის მიმართ პირველყოფილი მიამიტობით და უბინწო შინაგანი თავხედობით გამოირჩევა..." და კიდევ: „დილეტანტობას საზარალო კვალი რომ არ დაეტოვებინოს – კაცობრიობის ისტორიას ასეთი რამ არ ახსოვს". სახელმწიფომ, მის კონცეფციაში და დოქტრინაში უნდა გაიმეოროს დეოკუპაციის მშვიდობიანი გზები [illegible] ამასთანავე, დააფიქსიროს რომ მის ტერიტორიაზე მიუღებელია ნებისმიერი უნებართვო სასაზღვრო დემარკაციული და სხვა ქმედებები.

**2. რა შეიძლება ვიგულისხმოთ ზევით ხსენებულ პრაქტიკულ ქმედებაში?**

საგაზეთო ფურცლებზე შესაძლებელი ღონისძიებების განმარტებას, მათ ჩამოთვლას აზრი არ აქვს. შედეგზე კი შეჩერება შესაძლებელია: პირობითი საზღვრის ერთ სექტორში აღმართული მავრთულხლართები ერთ დღეს ან ღამეს უნდა გაქრნენ. სხვა სექტორში მავრთულხლართების აგების სამუშაოების დაწყებამდე იქ უნდა გაჩნდნენ ჩვენი პოლიციელები, მოსახლეობა და საერთაშორისო დამკვირვებლები. ახლად ჩაყრილი ბოძები დემონსტრატიულად უნდა ამოიძირკვოს. კიდევ სხვა სექტორში სამუშაოების დაწყებამდე შესაძლოა ევროპელმა და ამერიკელმა მოხალისეებმა, პროტესტის ნიშნად, კარვები გაშალონ... ყველა აქცია უნდა მსოფლიო მედიის საშუალებებით შუქდებოდეს. ასე განუწყვეტლად უნდა გრძელდებოდეს – რატომ? იმიტომ რომ ეს რუსეთია. ექსპერტებთან შეხვედრაზე ივანიშვილმა ივარაუდა რომ ეს ზამთრის ოლიმპიური თამაშების მიზეზითაა და მათი დასრულებისთანავე ალბათ უკეთესობისკენ რაღაცა შეიცვლებაო. რუსეთი არასდროს არაფერს თავისი ნებით არ თმობდა – ის მხოლოდ ძალას სცემდა პატივს და მხოლოდ ძალას ემორჩილებოდა... იძულებით. საერთაშორისო მედიის რეპორტაჟები უსისხლო, თავგამოდებულ, სამოქალაქო პროტესტის შესახებ დასავლეთს აამოძრავებს. ეს ის ძალა იქნება, რომელიც უბიძგებს რუსეთს „მეგობარი სახელმწიფოების (აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის) ღალატისკენ" პირველი ნაბიჯი გადადგას... საქართველოს ლოდინის ფუფუნება არ გააჩნია – დრო არ ითმენს. 500 „ჩაყლაპულ" მეტრს, შესაძლოა, 1000 მეტრი, 5 კილომეტრი მოჰყვეს – რა დაუშლის გაუმაძღარ მეზობელს, რომელზედაც მაქსიმ გორკიმ თქვა: **„რუსი ხალხის წარმატების უმთავრესი ნიშანი მისი სადისტური სისასტიკეა"** („საქ. რესპ." 01.05.2013).

**მალხაზ ჟვანია**

---

## ◎ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● **საარჩევნო კომისიის კონკურსის წესით შერჩეული ექვსი წევრიდან, ექსივე რომ ნაცმოძრაობის მხარდამჭერი აღმოჩნდება, ცხადია, რომ მეორე მხარე ან დოყლაპიაა ან „ბილწთან ზავით შაკრული". არც პირველია საამაყო თვისება და არც მეორე – სამაგალითო საქციელი, რომ ამ საქმის თანამონაწილე გახდე კაცი.**

● **პრემიერი ხვდება პოლიტიკურ ექსპერტებს. ქართველი „პოლიტიკური ექსპერტები", დღის მთავარი ანეკდოტი.**

● **ნაცები თუ იდეოლოგიის და რეჟიმის მსხვერპლი იყვნენ, მაშინ მე ვყოფილვარ დამნაშავე და ერის მტერი, ამის დედა ვატირეე.**

● **ამ სტატუსს იმათთვის არ ვწერ, ვისაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი უშეცდომო ჰგონია.**

**ფორმატი არის შესანიშნავი, მაგრამ სერიოზული შეცდომა დაუშვა პრემიერ-მინისტრმა, როცა ექსპერტებთან შეხვედრის პირდაპირ ეთერში გადაცემის გადაწყვეტილება მიიღო.**

**ამგვარი შეხვედრების გამოცდილება მსოფლიოში არსებობდა, მაგრამ ჩვენთან გამჭვირვალობა სიშიშვლეში გადაიზარდა. სამწუხაროდ!**

● **და ვერ გავიგე ჩვენ facebook ექსპერტებს რა ფეტვი გვირევია, როდის აპირებს ჩვენთან შეხვედრას? მე ლიჩნად ერთი ლიმონი მეყოფა სიჩუმეში... (მჟავე სახეს მივიღებ).**




● **აბა ვაზელინებიიი! გადავედით პირველი თაობის ტელეფონებზე... აბა შუსტრად, ნიჭიერ ხალხს ერთი ორი კაი პირველი თაობის ტელეფონი ხო უნდა ედოს ჯიბეში.**

● **ყველა იმ საჭირბოროტო თემაზე, როგორიცაა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, საკადრო პოლიტიკა, სამართლიანობის აღდგენა, ბიძინა ივანიშვილმა თქვა – ევროპა და ამერიკა ვერ გაგვიგებენო. არც ერთხელ არ უთქვამს: – ქართველი ხალხი ვერ გაგვიგებსო.**

● **გაზი რო გვაქ, კბილაშვილის დამსახურებაა. ჟვანიას მკვლელობაზე დაიჭირა და გირაოთი გამოუშვა.**

● **თავისთავად ფორმატი, პრემიერ-მინისტრი ლია ეთერში შეხვდეს ექსპერტებს და მათი კრიტიკული მოსაზრებების გაბათილებას ეცადოს, ქართული დემოკრატიისათვის წინ გადადგმული ნაბიჯია. პირადად მე, ბატონ ბიძინას მიერ გაკეთებულ ბევრ განცხადებას ვეთანხმები და ბევრს არ ვეთანხმები, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ პრემიერ-მინისტრი მამუკა არეშიძის მიმართ უსამართლო და ზედმეტად მკაცრი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მამუკამ ივანიშვილის მოთხოვნის თანახმად, კონკრეტული ფაქტებით ილაპარაკა. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ არეშიძე „ოცნების„ ყველაზე სუსტ წერტილს შეეხო და რაკილა ბიძინას არგუმენტები არ ჰქონდა, გალიზიანდა. რა ვიცი, მე ასე აღვიქვი და თქვენ თქვენი თქვით, პატივცემულო მეგობრებო!**

● **ამ კაცს ვერ გაუგია ხალხს რა უნდა. ზეკაცი კი არა, სამართალი უნდა, სამშობლო უნდა და სარწმუნოება უნდა. ზეკაცები გვყავდა და ცხვირში არავინ გვატენიდა, ამიტომაც აფასებდა ერი. მოკლედ, მე მითქვამს და დანარჩენი ბრბოს და დროის საქმეა.**

● **არ გამიკვირდება, რომ ბიძინა ივანიშვილმა თავის შემცვლელად ზურაბ ადეიშვილი დაასახელოს. ნიჭიერი ყოფილა, პროკურატურა, პოლიცია, სასამართლო დაულაგებია, ეკონომიკის მამაც ყოფილა და ამაზე უკეთესი პრემიერ-მინისტრი რა გვინდა?**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

## რატომ აკნინებენ კომისიის უფლებებს?




# კომუნიკაციების ეროვნული კომისია კუდის ბოლო მოქნევის პროცესშია?

„თელიასონერა“ საქართველოდან გასვლისა და ინვესტიციების გატანის საკითხს განიხილავს“, — კომპანია „ჯეოსელის“ წარმომადგენლის მიერ პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გაკეთებული ეს განცხადება ინვესტიციების ბუმის მოლოდინში მყოფ ქვეყანაში სკანდალად იქცა. თუმცა, მოგვიანებით, მოვლენების რადიკალურად განვითარების სცენარი თავად კომპანია „თელიასონერას“ წარმომადგენლის ოფიციალური განცხადებით გაბათილდა.

„თელიასონერა კვლავინდებურად განაგრძობს თავის საქმიანობას საქართველოს ბაზარზე. ქართული ბაზარი მზარდია და ამ ეტაპზე „ჯეოსელი“ საქართველოს ბაზარზე არსებობას განვიხილავთ გრძელვადიანი მომავლის პერსპექტივით,“ — აღნიშნავს საგანგებო განცხადებაში „თელიასონერას“ ევრაზიის რეგიონის კორპორაციული კომუნიკაციების ვიცე-პრეზიდენტი.

„ჯეოსელის“ წარმომადგენელი პარლამენტში საკუთარი განცხადებით კომუნიკაციის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებდა, რომლის თანახმადაც, კომპანიას ლიცენზიისთვის დაწესებული გადასახადი 14 მილიონი ლარით გაეზარდა. საუბარია უწყების მიერ 17 ივლისს მიღებულ დებულებაზე, რომლის საფუძველზეც მობილურ კომპანიას ლიცენზიის გასაგრძელებლად წინა წლებში გადახდილი 34 მილიონი ლარის ნაცვლად 48 მილიონის გადახდა მოუწია.

„როგორც ახსნეს, ეს არის დაზუსტება და როგორი დაზუსტებაა, როცა ერთი და იგივე მუხლის ინტერპრეტაცია 14-მილიონიან სხვაობას იძლევა?!“ — სვამს კითხვას „ჯეოსელის“ წარმომადგენელი და იქვე განმარტავს, თუ კომისიის ეს გადაწყვეტილება მართებულია, მაშინ კომისიის წევრები წლების განმავლობაში ცდებოდნენ და დაბალი გადასახადის განსაზღვრით, სახელმწიფო ბიუჯეტს აზარალებდნენ.

კომპანიის წარმომადგენლის კითხვებს ლოგიკურს, პრეტენზიებს კი სამართლიანს უწოდებს პარლამენტში შექმნილი საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელი **თინა ხიდაშელი**. იგი For.ge-სთან საუბრისას კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის სხვა გადაწყვეტილებებსაც იხსენებს.

**„ვფიქრობ, მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილება ლიად დისკრიმინაციული იყო, არა მხოლოდ „ჯეოსელის“, არამედ ბევრი კომპანიის მიმართ. „ბილაინისთვის“ მარეგულირებელ კომისიას განსხვავებული წესები ჰქონდა დადგენილი. თუკი ურთიერთჩართვის დროს სხვა მობილური კომპანიები მომსახურებაში ერთმანეთს წუთში 8 თეთრს უხდიდნენ, „მაგთის“, „ჯეოსელს“ და „ახალ ქსელებს“ 11 თეთრის გადახდა ჰქონდათ დაკისრებული. მარეგულირებელმა კომისიამ მათ, პრაქტიკულად, „ბილაინის“ სუბსიდირება დაავალა“,** — აცხადებს ხიდაშელი.

**პარლამენტარი პორტირების გადასახადზეც საუბრობს და განმარტავს, რომ მარეგულირებელმა კომისიამ ამ სერვისისთვის მობილური ოპერატორებიდან 7 მილიონი ლარი ამოიღო, მაშინ, როცა კომპანიებს სერვისის განხორციელება ერთმანეთთან შეთანხმებით 600 ათას ლარად შეეძლოთ.**

**„ჯეოსელი“ არ არის ერთადერთი კომპანია, რომელიც უკანონო გადასახდის დაკისრებას აპროტესტებს, საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გადასახადის არასწორი დათვლის საკითხი დასვა „სუპერ TV-მაც“ — კომპანიის წარმომადგენლები განმარტავენ, რომ ახალი „ფორმულით“ გადასახადი 460 ათას ლარამდე გაიზარდა, რაც 200-300-ჯერ აღემატება აქამდე არსებულ გადასახადს.**

**პროტესტს გამოთქვამს მობილური კომპანია „მაგთიკომიც“. პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე „მაგთის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 2004 წელს პროკურატურის ფონდიდან ფიქტიურად შეძენილი 70 მილიონი ლარის ღირებულების ლიცენზიით, ფიჭური კომპანიებისთვის დაწესებული სალიცენზიო მომსახურების ფასი ხელოვნურად გაიზარდა.**

**„კომუნიკაციების ეროვნული კომისია ივლისის მერე გააქტიურდა, როგორც ჩანს, კუდის ბოლო მოქნევის პროცესშია და ცდილობს თავისი პოლიტიკა სრულმაშტაბიანად გაატაროს, ვიდრე ამის დრო და შესაძლებლობა აქვს“**, — აცხადებს თინა ხიდაშელი.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებზე პოზიციის გამოხატვა For.ge-მ უწყების პრესმდივანს სთხოვა.

**„დადგენილებაში შესული ცვლილებები გასაჩივრებულია სასამართლოში. სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, ნებისმიერი მხარის მიერ რამე კომენტარის გაკეთება, შესაძლოა, აღქმული იქნას სასამართლოზე ზეწოლად. ამიტომ კომისია ამ საკითხის კომენტირებაზე თავს იკავებს“**, — განაცხადა ხატია ყურაშვილმა.

**მადლენა მაჭარაშვილი**

## საკითხი კონსტიტუციით უნდა გადაწყდეს

**პარლამენტის უმთავრესი ფუნქცია მთავრობისა და ბიუჯეტის კონტროლია — ასეა განსაზღვრული კონსტიტუციით. ამას კი კანონმდებლებისა და მთავრობის წევრთა მუდმივი ურთიერთობები, ხშირი კონტაქტები სჭირდება, აცხადებს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, უმრავლესობის წევრი ზვიად ძიძიგური. მისი თქმით, დღეს ხელისუფლების ეს ორივე შტო, რაკი ასობით კილომეტრით არიან დაშორებულნი ერთმანეთს, პრაქტიკულად დროის დაკარგვის რეჟიმში მუშაობენ, რადგან მუდმივად გზაში უწევთ ყოფნა.**

კიდევ ერთ ვიცე-სპიკერს, უმრავლესობის წევრს მანანა კობახიძეს ამის დასადასტურებლად მოჰყავს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის მაგალითი. იგი უმცირესობამ შეხვედრაზე დაიბარა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ქალბატონ მაიას იმ დღისთვის დაგეგმილი ჰქონდა რამდენიმე უცხოელ დიპლომატთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა. პროტოკოლი წინასწარ იყო შედგენილი. ფანჯიკიძემ უბრალოდ, ფიზიკურად ვერ შესძლო ქუთაისში ჩასვლა. პარლამენტი თბილისში რომ ყოფილიყო, მინისტრი აუცილებლად გამოძებნიდა 1-2-საათიან „ფანჯარას“ უმცირესობასთან შესახვედრად.

ზვიად ძიძიგურის აზრით, პარლამენტის მუშაობა საერთაშორისო დიპლომატიურ კორპუსთან არასაკმარისია. ყველა მათი ოფისი თბილისშია, რაც აძნელებს კომუნიკაციას. მისი თქმით, პარლამენტის ქუთაისში ყოფნა სერიოზული შემფერხებელი ფაქტორია როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მასმედიის წარმომადგენლებთან ურთიერთობის მხრივაც. იგივე ითქმის არასამთავრობოებზეც.

# პარლამენტი ბორბლებზე, ჩამოტარებით!

პარლამენტის შენახვა მთლიანობაში მძიმე ტვირთად აწვება ბიუჯეტსაც. უმრავლესობის განცხადებით, ძალიან ძვირი ჯდება შენობის შენახვა, სადაც ფანჯარაც კი არ იღება და უზარმაზარი ნაგებობა მთლიანად კონდიცირების სისტემაზეა გათვლილი. აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ შენობა ბოლომდე არ არის დამთავრებული და ამოქმედებული. ამის გამო ჯერ ვერ საუბრობენ ოფიციალურ ხარჯებზე, რაც აუცილებლად მოიმატებს.

დღეისათვის პარლამენტის აპარატში 750 თანამშრომელია. როგორც ქუთაისელთა ნაწილი ამბობს, ყველა დასაქმებული თბილისიდანაა. დამლაგებლებიც იქიდან დადიანო, ენაკვიმატობენ ადგილობრივები და გაკვირვებას გამოთქვამენ სააკაშვილის ნაბოდვარზე — პარლამენტის ქუთაისში გადატანა იქაურთა დასაქმებას შეუწყობს ხელსო.

პარლამენტის აპარატში ყველაზე მეტი მოთხოვნა მთავარ სპეციალისტზეა. მათი ანაზღაურება, საშემოსავლოს დაქვითვის გარეშე, 880 ლარია. რასაკვირველია ამ ხელფასით ისინი ბინის ქირისა და კვების ხარჯებსაც ვერ გადაფარავენ. პარლამენტმა დამატებითი ეკონომიისა და შიდა რეზერვების გამოყენების ხარჯზე თბილისიდან ჩამოსულთა ცხოვრების ხარჯების ანაზღაურებაც იკისრა.

პარლამენტის აპარატის უფროსის ზურაბ მარაქველიძის განმარტებით, შენობის შენახვისა და პარლამენტართა ბინის ქირის დანახარჯები თვეში 400 ათასი ლარია. ამას უაზრო კონსტრუქციის გამო ემატება დიდი კომუნალური ხარჯებიც, რადგანაც იქ ყველაფერი ვენტილაციაზეა დამოკიდებული. ცალკე საკითხია დეპუტატთა მანქანების საწვავი.

ქუთაისში პარლამენტის მშენებლობის დაწყებასთან ერთად სააკაშვილი პირობას დებდა, რომ ქუთათურთა მსგავსად განვითარება შეეხებოდა წყალტუბოსაც. იქ უნდა აშენებულიყო პარლამენტართა საცხოვრებელი სახლები, ხალხის მოსატყუებლად ადგილიც გამოყვეს. მაგრამ შემდგომ ყველაფერი დაივიწყეს. წყალტუბო კი ნაწილ-ნაწილ მიჰყიდეს უცხოელებს.

პარლამენტის ქუთაისში გადასვლას ამ ქალაქისათვის რაიმე ეკონომიკური ეფექტი არ მოუტანია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ საპარლამენტო სტატუსის მინიჭებამ საგრძნობლად გაზარდა ფასი მიწებსა და უძრავ ქონებაზე. თუ საპარლამენტო ქალაქად გადაქცევამდე კვადრატული მეტრი მიწის ფასი 4-8 ლარს შორის მერყეობდა, ბოლო წლებში 70-80 ლარამდე ავიდა, ხოლო პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც გარეუბანია და პირველი ზონის ქვესტატუსის მატარებელი გახდა, კვადრატული მეტრის ფასმა 100-120 ლარს მიაღწია.

ამ ეტაპზე საგრძნობლადაა გაძვირებული ბინების ფასიც. თუ სააკაშვილის ხუშტურების რეალურად განხორციელებამდე ქალაქში ბინის ქირაობა 100 ლარის ფარგლებში შეიძლებოდა, დღეისათვის ღირებულება 500 ლარამდეც ადის.

ეკონომისტთა განმარტებით, იმის გამო, რომ ამ ფასად ბინების დამქირავებელთა რაოდენობა განსაზღვრულია **(რა უჭირთ, ბიუჯეტის ხარჯზე ფეხის გაჭიმვა უყვართ — რედ)**, ქუთაისელთა დიდი ნაწილი ამ თანხად ბინებს ვერ აქირავებს. ეს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის უკმაყოფილებას იწვევს. რადგანაც ყველაფერზე გაიზარდა ფასები. მათი შემოსავლები კი უცვლელი [illegible] თო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე [illegible] გავლენას ვერ ახდენს (ცალკეული გამონაკლისების გარდა).

ადრე, იდეებით დახუნძლულმა „მაღალმა“ ქვეყნის დეცენტრალიზაციაზე დაიწყო საუბარი. სწორედ ამ მიზნით და ეკონომიკური ეფექტის მოხდენის მოტივით, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია და აუდიტის სამსახური იმავე ქუთაისში გადაიტანა (რა, პოდოპიტნი კროლიკები ვართო? — შაყირობენ ქუთათურები), რასაც ქალაქისთვის რაიმე განსაკუთრებული ეფექტი არ მოუტანია. უფრო მეტიც, კლება იწყო შემოსავლებმა. საშემოსავლო სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტში ქუთაისიდან შესული საგადასახადო შემოსავლები შემცირდა. კერძოდ,თუ 2009 წელს 159022 ლარი იყო, 2010-ში 149 663, ხოლო 2011-ში კიდევ უფრო ნაკლები — 139 358;

### „უცილობლობს ვითა...“

**„ეკალოსნები“ ყოველმხრივ, ყოველგვარ რეალურ არგუმენტებსა და საღ აზრს მოკლებული, დემაგოგიური განცხადებებით ცდილობენ თავიანთი კერპის ახირების გამართლებას.** ისინი უსაფუძვლოდ ეწინააღმდეგებიან პარლამენტის დედაქალაქში დაბრუნებას. მათი ერთ-ერთი „კაშკაშა ვარსკვლავი“ სერგო რატიანი, ცდილობს რა საკუთარი გუნდის ინტერესების გამოხატვას, ამბობს, რომ ქუთაისში პარლამენტის დატოვებით ქალაქი განვითარდება ეკონომიკურად, ინფრასტრუქტურულად და პოლიტიკურადაც (ადგილობრივებს ნამდვილად სჭირდებათ ნაციონალების მხრიდან პოლიტიკური განვითარება და განათლება — **ზ. ბ.**). შემდეგ კი საკუთარი მამა-მარჩენლის მსგავსად, აბსურდში გადადის.

რატიანი ამბობს, რომ თუ პარლამენტი ქუთაისში არ დარჩა, მოხდება წარსულში დაბრუნება, როდესაც ერთი ქალაქი დომინირებდა. **„თბილისი მოწყობილი იყო მოსკოვის ხატად და დარად — როდესაც არსებობს ერთი ქალაქი და არ არსებობს პოლიტიკური სივრცე სხვა ქალაქებში“**, — მჭევრმეტყველებს უმეცარი პარლამენტარი.

მას სიტყვას (ულოგიკოს) უწუნებს მანანა კობახიძე. ამგვარად თუ ვიმსჯელებთ — ამბობს იგი, **— პარლამენტი უნდა იყოს ზუგდიდშიც, სიღნაღშიც, თელავშიც და ყველა რეგიონულ ცენტრშიც. შეგვიძლია ბორბლებზე შევაყენოთ პარლამენტი და ჩამოტარებით ერთი წელი ერთგან იყოს, მეორე წელი მეორეგან და ა. შ.** მიაჩნია პარლამენტის ვიცე-სპიკერს, რაც, მისი აზრით აბსურდია.

უმრავლესობისა და მოსახლეობის დიდი ნაწილის პოზიცია, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ცნობილია, ისევე როგორც ნათელია ამ საკითხისადმი მათი ლიდერის ირგვლივ დარაზმული უმცირესობისა. მაგრამ კონსტიტუციიდან იმ ნორმის ამოღება, რომლითაც პარლამენტის ადგილმდებარეობის საკითხი განისაზღვრება ვერ ხერხდება არსებული კანონმდებლობის ბაზაზე. ამის გამო საკითხი საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ განიხილება.

თუმცა, ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტამდე უნდა მოგვარდეს კონსტიტუციის ის ნორმა, რომელიც ქვეყნის მთავარ კანონში ცვლილებების შეტანისათვის საჭირო კვორუმს განსაზღვრავს. დღეს მოქმედი კანონით ამისათვის დეპუტატთა ორი მესამედის, ანუ 100 დეპუტატის ხმა მაინც არის საჭირო.

ექსპერტები, სპეციალისტები, ეჭვის-თვალით უყურებენ კონსტიტუციიდან პარლამენტის ადგილმდებარეობის განსაზღვრის ამოღებას. მართალია, ეს საკითხი პირდაპირ კავშირშია საკანონმდებლო ორგანოს დედაქალაქში დაბრუნებასთან, მაგრამ „ეჭვიანები“ თვლიან, რომ დესტრუქციულმა ძალებმა, როგორც პარლამენტს შიგნით, ისე მის გარეთ, შეიძლება მოისურვონ ამ ორგანოს სხვა რომელიმე რეგიონალურ ცენტრში დამკვიდრება. აქ შეიძლება ქუთაისის მაგალითზე წინა პლანზე წამოიწიოს რეგიონის განვითარების ხელშეწყობის არგუმენტმა.

ამიტომაც, თვლიან ექსპერტები, გადაწყვეტილების მიღება, რომ რეგლამენტმა განსაზღვროს პარლამენტის ადგილმდებარეობის საკითხი, ყველაზე მეტად ქმნის პარლამენტის „ბორბლებზე დაყენებისა“ და „ჩამოტარების“ საშიშროებას. მხოლოდ პირობის დადება, რომ ეს არ მოხდება, ვერანაირად ვერ ცვლის ვითარებას და არანაირ გარანტიას არ იძლევა, რომ ქუთაისის პრეცედენტი აღარ განმეორდება. ამის გამო სპეციალისტები საჭიროდ მიიჩნევენ კონსტიტუციით განისაზღვროს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მუდმივი მდებარეობის ადგილი. ისინი აცხადებენ, რომ საქართველო არ არის ისეთი მდიდარი ქვეყანა, რომ ბიუჯეტმა ამხელა ხარჯები გასწიოს პარლამენტარებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა აქეთ-იქით სირბილში.

**ზაზა ბილიხოძე**

# ხომ არ აჯობებდა აშშ-თან ერთ-ერთ შტატად მიერთება?!




**არჩევნები საჭიროა იმ ქვეყნისთვის, რომელიც თავის ცხოვრებას განაგებს. განაგებს დღევანდელი საქართველო თავის ბედს? ვგონებ, ნაკლებად.**

**საქართველოს წინა ორი ხელისუფლების წყალობით, ქვეყნის მმართველობა სხვის ხელშია. სამართავი პულტი საქართველოდან შორს, ატლანტიკის ოკეანის იქითა ნაპირზეა, თუმცა სიშორის კომპენსაციას ე.წ. სტრატეგიული პარტნიორის საელჩო ახდენს – სახელმწიფო კანცელარიიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარე.**

აშშ-ის საელჩო საქართველოში ქვეყნის საშინაო და საგარეო ცხოვრების სადავეებსაც ფლობს და მსხვილმან-წვრილმან საქმეებსაც იხილავს, ხშირად ისეთსაც, ხელისუფლებამაც რომ არ უნდა განიხილოს. მსგავსი რამ საბჭოთა ქვეყნის მმართველობის პირობებშიც არ ყოფილა. ვინ წარმოიდგენდა მაშინ საქართველოს ტელერადიოკომიტეტის ჟურნალისტების ეთერში ყოფნა-არყოფნის საკითხი კრემლს განეხილოს?

დღეს, სხვა ვითარებაა კონტროლის თვალსაზრისით, მაგრამ სიტყვა „კონტროლი" ამ შემთხვევაში შეუფერებელია. ვითარებას, რომელიც დღესაა შექმნილი, უფრო უხეში ჩარევა ჰქვია, თანაც, მე ვიტყოდი, ერთობ უხერხული.

საელჩომ შეიძლება აკონტროლოს მთავრობის საგარეო კურსი ან საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა – კონფიდენციალურად, დისტანციურად. საკუთარი აზრის მთავრობაზე თავსმოხვევის გარეშე. თუმცა ასეთიც, ნორმალურ ქვეყანაში მიულებელია. მაგრამ ის, რომ ელჩმა არჩიოს ნაცმოძრაობის ორი აგიტატორის, ჟურნალისტებად რომ მოაქვთ თავი, თოქ-შოუების წაყვანის თემა, დაუჯერებელია.

აშშ-ის ამჟამინდელი ელჩის დამოკიდებულება საქართველოსა და მისი ხელისუფლებისადმი, არაფრით განსხვავდება მის წინამორბედთა ქცევისგან. როგორც ჩანს, ვაშინგტონიდან გამომგზავრების წინ, ყველა ისინი, ისეთ დავალებას იღებენ – ქვეყნის საშინაო თუ საგარეო საკითხებში ხელის ფათური რომ ჰქვია.

დღევანდელი ელჩი, ნორლანდიც, დავალების შესრულებას ხელს არ აკლებს. ხან ქუთაისშია, ხან სახელმწიფო კანცელარიაში, ხან ზუგდიდში და ხანაც – ბათუმში... და სადაც არის, ყველგან თავის „ავტორიტეტულ" მოსაზრებას გამოხატავს, რაც უდავოდ მანიშნებელია ერთისა – აშშ-ის ადმინისტრაცია საქართველოს ხელისუფლებას დებილ ბავშვად აღიქვამს, რომლის აღზრდა-ჩამოყალიბებას დრო სჭირდება, მანამდე კი საელჩომ უნდა ითავოს ქვეყნის მართვა.

ამ პოლიტიკამ სააკაშვილის ხელისუფლებას რომ არხეინობა შესძინა, ფაქტია. ბუს დიდი თავი აქვსო - ფიქრობდა ის, ამიტომაც თითქმის ათი წლის განმავლობაში მას არაფერი უკეთებია. და თუ გააკეთა, ყველგან საკუთარი სარგებლის გამორჩენის მოტივით. ვაშინგტონს ამერიკაში ნატრენინგები უმეცარი გოგო-ბიჭები სჭირდებოდა, მარტივი მიზეზის გამო, ისინი ხმას არ შეუბრუნებდნენ, ისე, როგორც გამოცდილი, ასაკოვანი პროფესიონალები.

**როდესაც პაიჭაძე-კვესიტაძის საქმე აშშ-ის საელჩომდე მიდის, რა საჭიროა საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება?! იქნებ პირდაპირ მივუერთდეთ აშშ-ს მეორე ჯორჯიად. ხელის შემშლელ ფაქტორებს ვერ ვხედავ. აშშ-ის დროშას, ჰიმნს და ჰიმნის დროს გულზე ხელის დადებას, გერბს, ამერიკული ცხოვრების წესს ისეთ პატივს ვცემთ, ბევრ ამერიკელს რომ შეშურდება. მაშ, რატომ ვაყოვნებთ, გადავდგათ ეს ნაბიჯი და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.**

დარწმუნებული ვარ, მოსახლეობის უმრავლესობა ამ აზრს არ გაიზიარებს, მაგრამ ვინ კითხავს უმრავლესობას?! მთავარია ამერიკას, „ოცნებას" და „ნაცებს" უნდოდეს და უმრავლესობას მოევლება – უმცირესობად გადაკეთებით. აღარც საგარეო საქმეები შეგვაწუხებს და აღარც ოსების მხრიდან საზღვრის გადმოწევა; აღარც აბაშიძეს მოუწევს კარასინთან სალაპარაკო მესამეხარისხოვანი თემების შესარჩევად ტვინის ჭყლეტა; აღარც ფანჯიკიძეს დავლილით უსაგნო შეხვედრა-მოლაპარაკებებით.

ხუმრობა საქმე ხომ არაა, მინისტრმა ქალმა, თითზე ჩამოსათვლელ დღეებში, ნიუ-იორკში, სამოცი შეხვედრა გამართოს? ექვსი თქვა თუ სამოცი? იქნებ მომეყურა? არა, ნამდვილად სამოცი თქვა, რითაც გვამცნო – ნახეთ რა თავდადებული ვარ ქვეყნისთვის, სამოც მოლაპარაკებას ვმართავო.

სამოც მოლაპარაკებას კი არა, სამოც ხელის ჩამორთმევასაც ვერ ახერხებენ ერთად აღებული რამდენიმე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები. ჩვენი კი ახერხებს! ყოჩაღ! ქალიც ამას ჰქვია. რა მნიშვნელობა აქვს შედეგს, მთავარია რაოდენობა და ხალხის დაბოლების ხარისხი. როგორც ჩანს, ფანჯიკიძეს ჰგონია, რომ შეხვედრების რაოდენობით ყოყოჩობა ქართული საგარეო პოლიტიკის ნოვაციაა.

ცდება ქალბატონი მაია. ათი წელი გაჰყვიროდა სააკაშვილი გაეროსა და თეთრი სახლის დარბაზიდან შემთხვევითი შეხვედრების მოლაპარაკებად წარმოჩინებაზე. ეს, უკვე განვლილი ეტაპია. ახალი ტყუილის გამოგონებაა საჭირო, თუმცა ამაზე თავის ტეხას, არ სჯობს აშშ-ში მორიგ შტატად შესვლა?

აი, რომ მიგვიღონ, მაშინ ნახეთ, რა მოწიწებით დაგვიწყებენ ყურებას ჩვენი მეზობელი ქვეყნები და თქვენ წარმოიდგინეთ საქართველოში მცხოვრები უცხოელები – ლიბანური წარმოშობის ფადი ასლის მსგავსნი?! ეს ბიზნესმენი რახანია საქართველოში ცხოვრობს. ქართველ ცოლსაც ეზიარა, ფარულავას სახით, შემდეგ გაეყარა, მაგრამ საქართველოზე დადებითი არამც და არამც არ წამოსცდება.

ეს ქვეყანა მისთვის ისეთივე მეწველი ძროხაა, როგორც საქართველოში მცხოვრები უცხოელი „სპეკულიანტებისთვის", თავს რომ ბიზნესმენებად ასაღებენ და არანაკლები გაიძვერა ადგილობრივი ბიზნესმენებისთვის – დღენიადაგ იმის ფიქრში რომ არიან, რა წაგლიჯონ ამ უბედურ ქვეყანას.

ზოგი რას იგონებს და ზოგიც რას – თბილისის შემოვლითი რკინიგზაო, ხუდონჰესიო, ტრამვაის აღდგენაო და ა.შ. თითქოს ყველა პატრიოტულად ჟღერს, ისეთად, ქვას რომ გახეთქავს, მაგრამ სინამდვილეში დიდი ფულის გაკეთების მახეა და მეტი არაფერი.

ავილოთ ხუდონჰესის ყბადაღებული პროექტი. როგორც ივანიშვილმა ბრძანა – ქვეყნის განვითარებას სჭირდებაო. ბრძანა და ამით მხარი დაუჭირა მის მოადგილე კალაძეს. მთა და მისი მოსახლეობა, რომ იტყვიან, ქუდზე კაცი, წინააღმდეგია პროექტის და ეს წინააღმდეგობა უბრალო ახირება არ არის. აშენების შემთხვევაში, წყალქვეშ მოექცევა ათეულობით სოფელი, კულტურის ძეგლები, სასაფლაოები. ქვეყნის განვითარებას წაადგებაო, კეთილი – მაგრამ ქვეყანა ხალხისგან არ შედგება? და თუ ის წინააღმდეგია, ჯიქურ რატომ ვაწვებით მას?!

ბიძინა წასვლას აპირებს. მას მშენებლობის საკითხი და ვადები აღარ შეაწუხებს, ცხადია, აღარც ხარისხი. არავინ იცის მშენებლობა როდის დამთავრდება. იქ მცხოვრებს კი სიცოცხლე გაუმწარდება. გარდა ამისა, შეძლებს, დღევანდელი არაპროფესიონალი საქართველო, გრანდიოზული მშენებლობის განხორციელებას?

დამოუკიდებლობის ჟამს მსგავსი მშენებლობა საქართველოს არ უწარმოებია. მავანი მეტყვის, უცხოელები ააშენებენო. კეთილი, მაგრამ პარლამენტის შენობა და თბილისის აეროპორტიც უცხოელებმა ააშენეს, მაგრამ პატარა ნიავი და წვიმა ისე მოქმედებს მათზე, როგორც ცუნამი.

გრანდიოზული ნაგებობები, მით უმეტეს ელექტროსადგურები, საბჭოთა კავშირის პერიოდისაა – სწორედ იმ ჟამისა, პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა რომ ზეობდა. დღევანდელთა მარჯვენას ისეთი ნაგებობები ეკუთვნის, როგორებიცაა გმირთა მოედნის ე.წ. ესტაკადა, შუაში ალმართული სვეტით. ესთეტიკურად ერთიც სიმახინჯეა და მეორეც.

რაც შეეხება ესტაკადას – მისი აშენების უმთავრესი მიზანი ავტოტრანსპორტის უსაცობო მოძრაობა უნდა ყოფილიყო. ესადაგება ამ მოთხოვნებს ესტაკადა? ესადაგება, ოღონდ შუა ივლისიდან, შუა აგვისტომდე, თანაც შაბათ-კვირას, როდესაც ქალაქის მოსახლეობა, ქალაქიდან გაკრეფილია. სხვა დროს ესტაკადაზე ასვლას, „ზემოთ" ჩაწყობა სჭირდება.

აღარაფერს ვამბობ ძველ ქალაქში გადებულ უფუნქციო ხიდზე ან მშენებარე გაუგებარ ლითონის ვეება მილებზე. ამ გამოცდილების „სპეციალისტები" ჰიდროელექტროსადგურს ვერ ააშენებენ.

**ქართველ „ბიზნესმენებსა" და „სპეციალისტებზე" საუბარმა ისე გამიტაცა, ლამის ფადი, ჩვენი სიძე, გადამავიწყა. მაგრამ არა, მან ისეთი რამ ბრძანა თავის „მეწველ ძროხა" საქართველოზე, რა დამავიწყებს?! - „საქართველო ლამაზი ქალია, რომელსაც კარგად გათხოვება უნდა, მაგრამ მამა მაფიოზი ჰყავს, ძმა – ნარკომანი, დედა საკუთარი სხეულით ვაჭრობს და როგორ იპოვოს ქმარი?"**

ხომ „შესანიშნავი" დახასიათებაა, თანაც უცხოურ გამოცემაში გამოქვეყნებული. მას, უდავოდ „ხელი უნდა შეეწყო" დასავლური ინვესტიციების შემოდინებისთვის, მით უმეტეს ეს ნათქვამი კარგა ხნისაა. „სიძე", რომ ასეთ რეკლამას გაგიწევს, თანაც უცხოელი, სხვაზე რა გვეთქმის?!

მაგრამ ეს მოსაზრება ბატონ ფადის საქართველოში ჩამოსვლისთანავე არ გასჩენია. მრავალი წლის ცხოვრების შედეგად გაუჩნდა და გაუჩნდა ქართული გარემოცვის წყალობით; შეძენილი ე.წ. ახლობლებისა და მეგობრების წყალობით; ქართველი ბიზნესმენების წყალობით, რომელთა აზროვნებაში მხოლოდ ერთია – ბევრი ფულის შოვნა, სხვისი სიცოცხლის ფასადაც კი, ქართველი პოლიტიკოსების წყალობით, რომელთა დევიზია – ხელისუფლებაში დიდხანს ყოფნა ფულის კეთებისთვის.

და როდესაც ასეთი „წარმტაცი" სურათის მაყურებლები ვართ, ხომ არ აჯობებდა აშშ-ის მორიგ შტატად მიერთება?! მაშინ ხომ ფადი და მისი მსგავსი ადამიანები უბატონოდ სიტყვას არ დაძრავდნენ საქართველოს მისამართით?!

დღეს კი, ვისაც არ ეზარება, ყველა გვლანძღავს, ხან რას გვაბრალებს და ხან რას – ქიმიურ იარაღს აწვდისო სირიელ მეამბოხეებს; ბაშარ ასადის წინააღმდეგ ბოევიკებს წვრთნისო; რეაქციულ ამერიკულ წრეებთან ისეთ გეგმებს ადგენს, მოყვარეს რომ თვალს დაუყენებსო და ა.შ.

**მაგრამ საქართველოს თანამედროვე ისტორიაში ისეთი „წარმატებული" პერიოდიც ხომ იყო, როდესაც სენატორი მაკკეინი რუსეთის ხელისუფლებას მიუთითებდა – რეფორმები საქართველოდან გადაიღეო. რუსეთის ხელისუფლებამ არ გაიზიარა „კეთილისმსურველის" რჩევა, რითაც გადაარჩინა ქვეყანა გამოუსწორებელი ნგრევისგან. სააკაშვილის ამერიკელი მეგობრების მაკკეინის, ლუგარის და სხვების წყალობით საქართველომ პოლიტიკურ-ეკონომიკური კრახი განიცადა.**

სხვა სიტყვას, „კრახის" გარდა, ვერ მიუსადაგებ ვითარებას, რომელიც საქართველოშია შექმნილი. ამის შემხედვარე ერთ ივანიშვილს კი არა, ათს აუცრუვდებოდა გული. ამერიკულმა შეგონებებმა, საქართველოს სამინისტროებსა და უწყებებში ჩანერგილმა ამერიკელმა ექსპერტებმა იმდენად გააუკულმართეს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრება, უარესს რომ ვერ ინატრებდა მეზობელი რუსეთი.

ვილას ახსოვს „წარმატებული რეფორმები" ან ქართული დიპლომატიის მიერ პოლიტიკური ჯომოლუნგმების დაპყრობა?! რაც არ იყო, უფრო სწორად მხოლოდ ქაღალდზე რომ იყო, რა დარჩებოდა?! თავის წიგნში „აღსარება ეკონომიკური მკვლელისა", ამერიკელი ეკონომისტი და სპეცსამსახურის ყოფილი თანამშრომელი ჯონ პერკინსი დაწვრილებით აღწერს აშშ-ს მიერ ნაშენები, საქართველოს მსგავსი უბადრუკი ქვეყნების „ეკონომიკურ" წარმატებას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „წარმატებულობის" სცენარის მიხედვით ხორციელდება PR-კამპანია. პრესა დაბეჯითებით წერს მიღწეული „გამარჯვებების" თაობაზე, რეალურად კი ქვეყანაში სტაგნაცია ვითარდება, რასაც ქვეყნის გაკოტრება მოჰყვება.

საქართველო სწორედაც რომ ამ სავალალო მდგომარეობის წინაშე დგას. მაკკეინმა და მისმა კოლეგებმა კარგად იცოდნენ „წარმატების" შედეგების შესახებ. ისიც იცოდნენ, რომ ახეთი ქვეყანა თავისუფლად აღმოჩნდებოდა ვაშინგტონის სრულ დაქვემდებარებაში.

მაკკეინი არც ამჯერად ცხრება, ცხადია რუსეთის მისამართით. მისი წერილი რუს ხალხს, რომელიც გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნდა პუტინისა და მისი ხელისუფლების ლანძღვა-გინების ოდაა, ამასთანავე მოწოდება რუსი ხალხისადმი, რომ ის უკეთეს მთავრობას იმსახურებს.

სენატორის წერილი, რუსეთის პრეზიდენტის წერილის პასუხი იყო. იმ წერილისა, რომელიც ამერიკულ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" დაიბეჭდა და რომელმაც ამერიკელებში არა მარტო მოწონება დაიმსახურა, არამედ ამერიკელებს ობამასადმი მოწოდების ხელმოწერების შეგროვებისკენ უბიძგა – მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატობა რუსეთის პრეზიდენტს გადაეციო.

პუტინის წერილი, რომელიც სირიის საკითხებს ეხებოდა „ვალდაის კლუბის" ტრადიციული შეხვედრის მსჯელობის საგანიც გახდა. ეს თემა თვით დასავლელმა პოლიტიკოსებმა წამოსწიეს. მათ ქება არ დაუშურებიათ ორგვერდიანი წერილის ავტორის მისამართით. ასეთი აღიარების ფონზე, მაკკეინის წერილი, საერთო ეზოში მუდამ მოჩხუბარი ანჩხლი დედაკაცის ლანძღვას უფრო ჰგავს, ვიდრე დიდი ქვეყნის, სენატორის ბრძნულ მოსაზრებას.

ვერ გეტყვით, გაიზიარა თუ არა რუსმა მკითხველმა სენატორის შეგონება ან რა აზრი გაუჩნდა მას ამ „შედევრის" წაკითხვის შემდეგ, მაგრამ სენატორის შეგონებას ქართველი ხალხისადმი რომ ნეგატიური შედეგი მოჰყვა - ფაქტია.

სირიის მოვლენებმა და რუსეთის პრეზიდენტის თანამიმდევრულმა სამშვიდობო პოლიტიკამ რომ დიდი ქულები შესძინა მას, ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ პუტინის ძალისხმევით, საერთაშორისო საკითხებში მეორე პლანზე მყოფი რუსეთი პირველ პლანზე გადავიდა. ასეთ რუსეთთან პაექრობა დონ-კიხოტობის მომასწავლებელია, მით უმეტეს ისეთი პატარა და სუსტი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა.

**როგორც ჩანს, კარდინალური ზომების გატარებაა საჭირო საგარეო პოლიტიკაში. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თითქოს ყოველივე ამას თავი უნდა მოგვმოდა, მაგრამ ამერიკელთა წყალობით, ისევ ძველ ადგილს ვტკეპნით.**

ჰოდა, საგარეო საქმეთა მინისტრიც, დიცში საზღვრის გავლების ფაქტს, ცხადია რუსეთის თავხედობის ხაზგასმით, მთელს მსოფლიოს ეტყვის. მას არც სააკაშვილი ჩამორჩა, – მისთვის ჩვეული ტერმინოლოგიით, მაგრამ ეშველება რამე ამ ქვეყანას? ვეჭვობ, რუსეთის ასეთმა „მხილებამ", საქართველოს მიმართ მსოფლიო ფორუმის სიბრალული გამოიწვიოს, მით უმეტეს შედეგი. სათქმელი უნდა ითქვას, მაგრამ აკადემიურად და არა დუჟმორეული წივილ-კივილით, სამარცხვინო ლექსიკით.

გაეროს გენერალური ასამბლეის მუშაობაში საქართველოს ორი დელეგაცია იღებს მონაწილეობას - სააკაშვილის და „ოცნების", ფანჯიკიძის სახით. საგარეო საქმეებში მათი პოზიციები ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ „ნაცთა" და „ოცნებელთა" კინკლაობა, რაც აქ ხდება, იქაც გამოჩნდა.

ერთი კვირის განმავლობაში მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენელი, ვისაც სააკაშვილი ან ფანჯიკიძე მიეჭრება, „საინტერესო" ჭორ-მართლის მსმენელი გახდება, თანაც ქვეყნისა, რომლის შესახებ მას ნაკლები ან საერთოდ არაფერი სმენია. ორივეს სალაპარაკო თემა საწყალი საქართველო იქნება, თუმცა, არც ერთ მათგანს საქართველო არ სტკივა, ყოველ შემთხვევაში დღემდე ასე იყო და დღეს რა ღმერთი გაუწყრებათ?



საქართველო, სიტყვის მასალაა. ორივეს მთავარი მიზანი – საქართველოს გავლით, საკუთარზე ზრუნვაა, ესოდენ დაფასებულზე თანამედროვე საქართველოში.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

სულისშემძვრელი სიზმრები, არ მასვენებენ...

ვგრძნობ როგორ ვიძირები უსაშველო ტკივილისა და მონატრების მორევში..

წუხელ ვარდისფერი სიზმარი მქონდა, შინ ვიყავი... სოხუმის ცას, ღრუბლის ფთილის ნატამალი არ შერჩენოდა, ზღვაც საოცრად ლივლივა იყო, მალაქიტისფერი ნარცისები ძველებურად ჰყვაოდნენ ეზოში, ხელგაშლილი ჰორტენზიები, თითქოს დაგვიანებას მსაყვედურობდნენ. საოცრად ბედნიერი, მთელი ხმით ვყვიროდი – „მე დავბრუნდი! მე დავბრუნდი!“ საიდანღაც თოლიებიც მოფრინდნენ, ფრთებს იქნევდნენ, მარილიანი წყლით გაპოხილები, იქნებ იარებს იშუშებდნენ ჩემსავით...

ოფლში გაწურულს გამეღვიძა. მივხვდი ეს მხოლოდ სიზმარი იყო. საოცარია, სამშობლოში მხოლოდ ფერმიხდილი სიზმრები მაბრუნებენ. სინამდვილეში ვხვდები, რა უმწეო ვარ, რადგან ადამიანის მთავარი უფლება, ვიცხოვრო საკუთარ ჭერქვეშ, წართმეული მაქვს. დღეს, ნამდვილად ვიცი, რომ გულს ვერანაირ საქმეს ვერ დავუდებ, თვალწინ წარსულის ლანდები ბორიალობენ, დედაჩემი გამახსენდა, თვალის გუგებში უხმოდ ჩამაკვდა ცრემლი. შემოდგომის ერთი მინავლებული და გაცრეცილი დღე იდგა, ჩვენი გადმოხვეწიდან ხუთი წელი იწურებოდა. გზას, მე და შენ მივუყვებოდით, ჩემო ჭაღარა, სევდიანო დედა. ქუჩაში ახალგაზრდა ქალი ყვავილებს ჰყიდდა. სანამ, ახლოს მივედით, ქრიზანთემები უკვე ვიღაცამ გამოართვა. „ოჰ, დამასწრო“ ნაღვლიანად ჩაილაპარაკე. გამიკვირდა, არ მეგონა, ყვავილების ყიდვა თუ გსურდა. შეგხედე, მივხვდი გული ძალიან დაგწყდა. ვიცი, დედა შენს გულში,იმ წუთას ნოსტალგიამ იფეთქა. გაგახსენდა შენი კერა, მშობლიური, გრძნეული ფერები. დღეს იქაურობას უცხო ტომები შესევიან. მაშინ, ვერაფერი გითხარი, ვერაფრით განუგეშე. ან კი, რად არ მაკვირვებდა შენი ოდნავ მკაცრი, მუდამ ჩაფიქრებული მზერა, აქ, თაროზე, შენი დღიურები დევს, ხელი გავაპარე მისკენ, გაუბედავად გადავშალე. სიყვითლე შეპარვიათ ფურცლებს, აქა-იქ მელნის ნაკვალევიც გამქრალა. რა გასაკვირია, მას შემდეგ ოცი წელიწადი გასულა, ოცი ტკივილიანი, ცრემლიანი წელიწადი, ოცი დაღლილი და დაქანცული წელიწადი.

მაპატიე, დედა, რომ აქამდე ვერ შევძელი მისი გულდასმით წაკითხვა. ძნელია სამშობლოში სამშობლო დაკარგული ადამიანის ბედით ცხოვრება, ჩემთვის (და არა, მარტო ჩემთვის) ყოველი წუთი ბრძოლა იყო არსებობისთვის, თვითდამკვიდრებისთვის. ვკითხულობ, შენს დღიურებს, გადავწყვიტე გამოვამზეურო. ეს დღიურები აფხაზეთის ომის მწარე რეალობაა. რას განიცდიდნენ ადამიანები, რომლებიც ფრონტის ხაზიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით იმყოფებოდნენ, სად იწყებოდა და მთავრდებოდა სინამდვილე. საიდან იღებდა დასაბამს დასასრულის დასაწყისი. ყოველ წუთს, სიკვდილის თვალებში შემყურე ადამიანი, მაინც იმედიანად გამოიყურები. იმედი ბოლოს კვდებაო, ამბობენ. იმ ბოლოს ველარ ელოდება ხშირად გული ყურძნის მტევანივით იწრიტება, ილევა და ზეცაში ივანებს, ხშირად სიყვარულისა და მონატრებისგან დაფერფლილი. შენს შვილიშვილებს აფხაზეთი არ ახსოვთ, მათ თაობას მხოლოდ სურათები შემორჩა. ისინი ამას აუცილებლად წაიკითხავენ და გაიგებენ, რომ ეს იყო ომი, 1992-93 წწ. აფხაზეთის ომი.

* * *

**21 სექტემბერი.** „მტერი 3კმ-ის სიახლოვესაა. ვხედავთ და ვისმენთ საშინელებას. ყველა შეშფოთებულია. ყველაფერს ვტოვებთ, ოღონდ სული შეგვრჩეს. რა ძნელია, ვინ იცის ჩვენი ყოფა. ვისაც, აქაური ამბავი შორიდან ესმის, არა აქვს წარმოდგენილი, აქ რა ხდება, როგორ უძლებს გული, ამდენი ახალგაზრდების სიკვდილს, ვინც ცოცხალი გადარჩება, არა მგონია ნორმალური დარჩეს. რატომ აყენებენ, განუკურნებელ ტკივილს მომავალ თაობას. ერთადერთი გადარჩენის გზა კოდორის ხეობის ბილიკებით მესტიის რაიონში გადასვლაა.

თვითმფრინავის ხმაზე შიშით გონებას ვკარგავ. დღის პირველ საათზე, სამმა თვითმფრინავმა გადაუარა იმ ადგილს, სადაც ბრძოლაა. შემდეგ, 5 საათისთვის გამოჩნდა ისევ, ჩამოყარა ბომბები. იძახიან თითქოს ეს თვითმფრინავი საქართველოსია. 1 წელი და 3-ე თვეა, რაც ვიტანჯებით. ამ პერიოდში, ვინც აქ იყო, სიკვდილს თვალებში ჩაჰყურებდა. აფხაზეთი დანახული ჯოჯოხეთია“.

**22 სექტემბერი.** „მდგომარეობა პიკს აღწევს. ზემოთ, კელასურში იწვის ორსართულიანი სახლი. მერხეული სავსეა გამოქცეულებით. მიჰყავთ პატარები. ახალდაბადებულები, ყოველ წუთს სატანჯველ სიკვდილს ველით. საკუთარ თავზე მომდის ბრაზი, მთელი წელიწადი გული არ გამტეხია, იმდენი ვიშრომე, თურმე სხვისთვის. საშინლად დავარდნილი ვარ, გულის სიღრმეში ამას მაინც არ მოველოდი, რაც მართალია, მართალია“.

**24 სექტემბერი.** „იგივე მდგომარეობაა, ჭანბას ქუჩიდან, ვიემიდან გადმოხვეწილი ხალხით, სავსეა ჩვენი უბანი. ჯემალს აქვს კარგი რადიო, იმას ჩავრთავთ და ვუსმენთ ორმოცდაათ კაცამდე. საშიშროებასთან ერთად, გადმოსცემენ, რომ სოხუმს დავიცავთო. ეს კი, ძალიან მეეჭვება. ჯემალის სახლის ზედა სართულის აივნიდან, ბინოკლით ყველაფერს ვხედავთ, სად დგანან აფხაზები. რაღაცას თხრიან ტრაქტორებით. ახლა ამ წუთში ჩვენს გაღმა, ეკლესიასთან ქართველები ისვრიან ავტომატებს, ღმერთო გადმოგვხედე.“

**25 სექტემბერი.** „ისევ ზემო კელასურიდან, მოედინება ხალხის ნაკადი. ამბავი მოვიდა. ჭანბა ჩვენებმა დაიკავესო.ეს გასახარებელია. გადმოსცეს, ზვიად გამსახურდია ზუგდიდში იმყოფებაო. ბედნიერება იქნება გამსახურდიასა და შევარდნაძის შერიგება, ტყუილად კი არ უთქვამთ ჩვენში, ვინ მოგკლა – ძმამო, ვინ გაგაცოცხლა – ძმამო, კიდევ ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო. ჩვენ, თუ არ გავიხლიჩებით, ჩვენი, გაჭირვებული საქართველო, კიდევ გაიმარჯვებს“.



# ეს იყო ჯოჯოხეთი

**27 სექტემბერი.** „დაღლილ-გათანგულს ჩამძინებია. თვალი, რომ გავახილე, რიჟრაჟი იყო.ისეთი იდუმალი სიჩუმე ჩამოწოლილიყო, რომ ფოთლის რხევის ხმასაც გაიგონებდი. ტანში უსიამოვნოდ გამცრა. მაგრამ ხომ, შეიძლება მეორე ვერსიაც დავუშვა, რომელიც ბედნიერს გაგვხდის.

მოწინაალმდეგემ იქნებ გადაიფიქრა ქალაქის შტურმით აღება? მალე სოხუმის მყუდროება, გაუგონარმა დაბომბვებმა დაარღვია. დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან ნაღმტყორცნებისა და ავტომატების ინტენსიური სროლა გვიახლოვდებოდა. როგორც, ჩანდა, მტერი თავისუფლად მოაბიჯებდა. გზად ანადგურებდა ადამიანებს, ყველაფერს ქართულს. ვტოვებ ჩემს საყვარელ ოჯახს.

მივდივარ, მაგრამ არ ვიცი, სად! ცარიელდება სახლები, ვაი-ვიში და გოდება ისმის მხოლოდ. ქუჩის ბოლოს შევჩერდი.ისევ, ვყოყმანობდი, ხელ-ფეხი მომეკვეთა, ერთი, ისიც კი გავიფიქრე, ჩემს ნაჯაფარ სახლში ამომხდეს სული-თქო, მაგრამ შვილები მეცოდებიან.სულ ახლოს ბომბი გასკდა.

ინსტიქტურად დავავლე ჩანთებს ხელი, წინ გავიქეცი, სიკვდილს, აშკარად გავურბოდი. რაც, უფრო ვშორდებოდი ჩემს სახლს, მით უფრო ვხვდებოდი, რა ახლოს იყო უბედურება. მერხეულისკენ ავიღეთ გეზი, იქიდან კოდორის ხეობა გველოდა.გზაზე ალკაზარი წამომეწია მანქანით.

ათასობით ლტოლვილად ქცეული ქართველი ტოვებს მშობლიურ აფხაზეთს, საკუთარ მიწას.

ზღვითა თუ ხმელეთით, სვანეთისაკენ მიმავალი, ვიწრო ბილიკებით, მიემართება დიდი და პატარა, რათა თავი დააღწიონ სასაკლაოს“.

**30 სექტემბერი.** „მივყვები ულელტეხილის ციცაბო აღმართს. მივდივართ მე, რეზო, ალკაზარი, ემა,ნანი.

გათენდა, 30 სექტემბერის დილა. გამოვდივართ საკენამდე. ამ გზებითა და ბილიკებით დასავლეთ საქართველოსკენ მოიწევს ათასობით ლტოლვილი. განსაკუთრებით დაჭრილებისა და ბავშვების საცოდაობა მტანჯავს. მე, თვითონ ღონე გამოლეული, ველარ ვუძლებ, უმწეო ადამიანების წამებას, ჩვილების უსასოო ტირილს, ველარ ვუძლებ, მაგრამ უნდა გავუძლო. წინ მხოლოდ გზა მოჩანს, რომელიც ქარბუქში, წვიმასა და თოვლში, მშიერ-მწყურვალებმა და გათოშილებმა უნდა გავიაროთ,უნდა გავუძლოთ გაუსაძლისს. აქვე, ჯარისკაცებსაც ვხედავ, მოდიან თავჩაღუნულები, უმწარესი ფიქრებით შეპყრობილები. ქვაზე წამომჯდარი ვწერ ამ დღიურებს. ყოველ 200 მეტროში ვჩერდები, ექვსი ჩანთიდან, სამი ჩანთა დამრჩა. ემამ ფიჩხით ცეცხლი დაანთო. ცუდად ვარ, მაჯა მიჩერდება თითქოს. ცივი ოფლი მასხამს. ემამ მომიარა. ცოტა უკეთ გავხდი. ხანდახან ცისკენ ავიხედავ, გამოდარებას ველოდები, ვერტმფრენის გამოჩენის იმედით. არც მე და არც სხვას იმედის მეტი არაფერი შეგვრჩენია. ვერტმფრენის ხმა ისმის, როგორც იქნა გამოჩნდა. წამში, აქაურობა ჯოჯოხეთს დაემსგავსა. ადამიანები ვერ ხედავენ ერთმანეთს, საშინელმა პანიკამ მოიცვა იქაურობა. აქ დარჩენის შიშით, გაათფთრებულები მიიწევენ ვერტმფრენისკენ. ჰაერში ისვრიან, მაგრამ უშედეგოდ.

მხოლოდ ვერტმფრენისგან აშხუილებული ქარი ცელავს მათ. ჩემს წამოდგომას აზრი არ ჰქონდა, შორიდან ვაკვირდებოდი“.

რაც უფრო ჩანაწერების ბოლოსკენ მივდივარ, მით უფრო მძაფრია ჩემი ტკივილი, მიკვირს, დედა, რამდენ რამეს გაუძელი. ღმერთო, ვინ აგებს პასუხს იმ გოლგოთაზე, რაც ულელტეხილზე გამოიარა ადამიანებმა.

გოლგოთა, არამეულად თხემის ადგილს ნიშნავს. იქ ჯვარს აცვეს იესო ქრისტე. სიტყვა გოლგოთა ტანჯვის სიმბოლოა. სვანეთში მრავალია, გოლგოთაზე მაღალი მთა, მთამსვლელთა და თამამ მონადირეთა სანავარდო, მაგრამ იქ გოლგოთა არასოდეს, არავის მოუწყვია. ბედის ირონიამ თუ ბევრმა სხვა წინაპირობამ, ათასნაირი ტანჯვა-წამება, სახლ-კარის გადაბუგვა არ აკმარა, ძირძველ აფხაზეთის ქართველობას და გოლგოთის ორასკილომეტრიან გზას დააყენა. სიკვდილს, რომ თავი დააღწიეს, სვანეთის ბილიკებს დაადგნენ „განვიდა ადგილსა მას, რომელსა ჰქვიან გოლგოთა.“

ვაგრძელებ დღიურების კითხვას. საცაა უკანასკნელ ფურცელს გადავშლი, ასე მგონია გიპოვე და ხელახლა გკარგავ. ამ დღიურების კითხვისას, თითქოს სადღაც აქ, სულ ახლოს ხარ..

**1 ოქტომბერი.** „ისევ ავიბარგეთ, სანატრელი გაგვიხდა ერთი ლუკმა პური, ვიხრჩობით წყურვილით. უკვე საკენში ვართ. სამი დღეა, ლუკმა არ გაგვიტეხავს. შემხვდა ორი ბიჭი. ვთხოვე, ცოტა პური თუ გექნება-მეთქი. მომცეს პური და ყველის ნაჭერი. სული მოვითქვი. საიდანღაც, მანქანამ ჩაგვიარა, პურები გადმოყარეს. გავიხარეთ. ალკაზარის ბავშვი, საერთოდ ვერ იტანს შიმშილს. ვინმეს კი უნახავს ამდენი, სიკვდილშეჭიდებული ადამიანი ერთად? ნუთუ გადარჩენის გზა სვანეთის თოვლიან ულელტეხილზე გადის?

დალის ხეობა. საკენი. სამოთხისებურ კუთხეში ცოდვა ტრიალებს, მხოლოდ ჯოჯოხეთს თუ შეადარებ კაცი. ვიღაც, დედა-შვილი გზაზე გაყინულა. იქვე არიან დასვენებული. გავკერპდი, თან რა უმწეო ვარ, სიტყვების ნაცვლად ამაზრზენ ბგერებს ვხრიალებ. ალკაზარი მეძახის, მანქანა ვიშოვე, ერთი ადგილია, ჭუბერამდე მიდისო. ოღონდ იქამდე ჩავიდე, მერე საშიშროება არ მემუქრება. გამოვემშვიდობე ჩემს უსაყვარლეს ნათესავებს, მერე კი გზა უშბისა და თეთნულდის საუფლოსკენ გავაგრძელე“.

**დაიკეცა შენი დღიურები და ალბათ, დაიკეცა ცხოვრება, რომელიც თავისებურად იყო სევდიანიც, ტკივილიანიც, სიხარულით და აღმაფრენით აღსავსე. მაშინ, როდესაც აფხაზეთში, მართლა დუღდა სიცოცხლე, სიკვდილი, სულ ახლოს, სიცოცხლის კარის დასალუქად ყოფილა ჩასაფრებული.**

**მწვერვალებიდან უფსკრულამდე ხშირად ეშვებიან, მწარედ და სწრაფად, რა მოხდა, რატომ მოხდა ჯერ კიდევ, ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს.**

**ომი წააგო ყველამ, ქართველმაც და აფხაზმაც, და თანაც ისე, ბევრს თუ სიცოცხლე ტანჯვით წაართვა, ბევრს თითქოს ფრჩხილზეც არ შეხებია. ოცი წელიწადია, რაც ცრემლიანი მიჰყვება საწუთროს ბილიკებს, აფხაზეთის ქართველობა – მავანისთვის დევნილი, მავანისთვის ლტოლვილი, მავანისთვის ხიზანი.**

**თბილისი, ცოტა ხნით ადრე სამოქალაქო ომის ზღვარზე მდგარი, დაღლილი, დაოსებული გველოდა.არ არსებობდა სახელმწიფო, არსებობდა კუნძულები მღვრიე მდინარეში. ეს იყო – ქართველი ხალხი, რომელიც საქართველოს ყველა კუთხიდან ხელს უწვდიდა, ომის სიმწარეგამოვლილ ადამიანებს. ის, რაც სახელმწიფოს კომპეტენციაში შედიოდა, რიგითმა ადამიანებმა შეასრულეს. მადლი ჰქენი, ქვას დადევიო.**

* * *

**27 სექტემბერს აფხაზეთის დაკარგვიდან ოცი წელიწადი ილევა. ამ, ხნის განმავლობაში, არაერთხელ გავხდით მტრის შემოტევის მოწმენი, კიდევ ერთხელ დაიკარგა ტერიტორიები, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ნიშანში საქართველოა ამოღებული.**

**განსხვავებას, 1993 წელთან შედარებით, მხოლოდ ერთ რამეში ვხედავ: 2008 წელს საქართველო უკვე შემდგარი სახელმწიფო იყო, მსოფლიო საზოგადოებრიობა, საერთაშორისო ორგანიზაციები, კეთილი ნების ადამიანები იდგნენ ჩვენი ქვეყნის გვერდით, ითავისებდნენ მის გაჭირვებას.**

**აგვისტოს ომმა, დამატებით კიდევ ერთხელ, ჩვენი მიწების ოკუპაციამ, რწმენასა და იმედთან გამოთხოვების სიმწრის წუთების წინ დაგვაყენა, მაგრამ სულის სიმტკიცე ვერ შეარყია. მახსოვს, მაშინ, როგორ ვეძებდი, განუსაზღვრელი დაქანცულობით, სევდით, ტკივილით, შეშფოთებით, განგაშით, სიბრალულით სავსე თვალებით, ჩემსავით ბუდეშერყეულ, მოსვენებადაკარგულ, საკუთარი ჭერიდან გამოყრილ ადამიანებს, ნუგეშის საცემად. მე ამაყი ვარ, რომ ვარ დევნილი აფხაზეთიდან. სწორედ ჩემმა ხალხმა შეძლო, ის, რასაც ალბათ, სხვა ვერ შეძლებდა. საოცარი ტემპით აამუშავა თვითგადარჩენის ინსტიქტი, შიშველი ხელებით შეეჭიდა ცხოვრებას. ფენიქსივით აღდგა, არ გაწირა ჩვეული ზნე-პრინციპები, ისევ ისე გაიქაფა შექმნის,შენების მარათონში. სწორედ აქ გადარჩა იმედის იმედი. ოღონდ რის ფასად?**

**სარკმელთან ვდგავარ, გარეთ გასვლა შეუძლებელია, გადაუღებლად წვიმს. ღრუბლები ბოლომდე იწურებიან თითქოს... წვიმს და ასე მგონია, წვიმას მიაქვს ამ ცხოვრების ჭუჭყი, ნაგავი.**

**იმედი, მაინც არ მტოვებს, შინ დაბრუნების იმედი. ჩვენ დავბრუნდებით, ხეტიალით დაღლილები, ვპოვებთ სიმშვიდეს მშობლიურ კერაზე. გაქექილი ნაღვერდლიდან კოცონი აბრიალდება, ირგვლივ სითბო დაისადგურებს, სითბო გაალღობს ყინულის ლოდებს და ჩვენ შევრიგდებით. ამოვა მზე აფხაზეთის ცაზე, საერთო მტრის დამარცხებას იზეიმებს ორი მოძმე ერი. ალბათ, ზღვაც სიხარულით შეტორტმანდება, მეჯლისს გამართავენ თეთრი თოლიები, ანგელოზები იქ, ზეცაში გაშლიან მიტევების, სიძულვილზე სიყვარულის, გამარჯვების სუფრას...**

**ნატო ხაფთანი**

## ვინ იღებს ბინას?



# შეძლებს თუ არა დევნილთა სამინისტრო სამართლიანობის აღდგენას?

უკვე, ორი თვეა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს დევნილთა ხელახალი რეგისტრაცია, რომელიც 2013 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელდება. რა სტატისტიკას მივიღებთ, საბოლოო ჯამში, ჯერ უცნობია, მაგრამ წლების განმავლობაში დევნილის სტატუსის მინიჭების გაყალბება ხდებოდა, ეს ფაქტია. დევნილთა და ლტოლვილთა სამინისტრო, დღეს ბევრად უფრო მოწადინებულია სამართლიანობის აღსადგენად, თუმცა მემკვიდრეობა, რომელიც დახვდა ამ სამინისტროს, ნაკლებად იძლევა იმის იმედს, რომ რეალურად იმ ადამიანების ბინებით დაკმაყოფილება მოხდეს, ვისაც ნამდვილად ეკუთვნით. ვისაც ოცი წლის განმავლობაში, ერთი თეთრის საფასურის დახმარება სახელმწიფოსგან არ მიუღია. ესენი ძირითადად, დევნილთა ის კონტინგენტია, რომლებსაც კერძო სექტორის დევნილებს ეძახიან.

ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თვალი გადავავლოთ წარსულს, როგორ და რანაირად ხდებოდა ყალბი დევნილთა სტატუსის მინიჭება.

1993 წელს, როდესაც დაიკარგა აფხაზეთის ტერიტორია, 300 000-მდე დევნილი მოაწყდა საქართველოს რეგიონებს. გაიცემოდა დროებითი პირადობის მოწმობები, საიდანაც იღებდა სათავეს, დევნილთა კონტინგენტის ხელოვნური გაზრდა. მოწმობების გადაცემა პირველ თვეებში, სპონტანურად ხდებოდა, ვინც არ დაიზარებდა, მისი აღება ყველას შეეძლო. თუ დროებითი პირადობის საბუთი გქონდა ავტომატურად გენიჭებოდა დევნილის სტატუსი. საკმაოდ, დიდი იყო იმ ადამიანების სია, ვისაც ფეხიც არ დაუდგამს აფხაზეთში, მაგრამ ხუთი, ექვსი მოწმობა მაინც ეჭირა ხელში. მოგვიანებით, საქართველოს, ყველა რეგიონის გამგეობაში შეიქმნა ლტოლვილთა განყოფილება, სადაც მოკალათებული იყო ადამიანთა ჯგუფი, რომელიც უსირცხვილოდ აფათურებდა ხელს, ისედაც გაკოტრებულ სახელმწიფოს ჯიბეში. წინ და უკან აფრიალებდა ავბედით ლტოლვილის ბარათებს და თუ კი რამე დახმარება მოდიოდა წლების მანძილზე, ისიც ვიწრო წრეში ნაწილდებოდა.

საკუთარი მიწა-წყლიდან განდევნილებს, სწორად მიანიჭეს თუ არა ლტოლვილის სტატუსი? დღეს, ამაზე კამათის ხალისი არ შემრჩენია. ისე კი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში თუ ჩავიხედავთ,ლტოლვილი გაქცეულს, გადახვეწილს ნიშნავს, მტრის შემოსევისას დროებით შეკედლებულ პირს კი ხიზანი ეწოდება. ლტოლვილსაც და ხიზანსაც, ერთნაირი თანაგრძნობა რომ სჭირდება, ამას უკვე ლექსიკონში ჩახედვა აღარ უნდა. მითუ მეტეს, გაუბედურებული ადამიანების ხარჯზე, საკუთარი კეთილდღეობის აწყობა, რომ, უკვე ღვთის წინაშე დანაშაულია, ამაში მაინც, ორი აზრი არ არსებობს.

ყველას ახსოვს ის პერიოდი: დევნილის 14 ლარიან შემწეობებს. ბანკი „საქართველოს ფოსტა“, რომ არიგებდა. სადღე-ღამისო რიგები იდგა, სალაროებთან. თანხა, ხან ორ თვეში ერთხელ, ხან სამი თვის ლოდინის, მერე რიგდებოდა. რატომღაც, ეს გაყალბებული დევნილის საბუთები,წინასწარ ხვდებოდა მოლარეების ხელში. საბუთის მფლობელები, მშვიდად, წყნარად მოვიდოდნენ, საბუთებში, წინასწარ ჩადებულ თანხას, დაცვა ფანჯრიდან გადააწოდებდა და მორჩა. იჩაგრებოდა მართლა დევნილი,რომელიც ნამდვილად საჭიროებდა დახმარებას, როცა მისი რიგი მოაღწევდა, ფული ხშირად, უკვე აღარ იყო. ისევ, მოლოდინის რეჟიმი, არანაკლებ ორი თვისა... ეს პრობლემები წლობით გრძელდებოდა. წინა ხელისუფლების, 9-წლიანი მმართველობის პერიოდში, მხოლოდ, ერთი რამ შეიცვალა. უკვე, სახელმწიფო ბანკები, ემსახურება დევნილებს ცივილიზებულად. ეს არის და ეს.

როგორ ნაწილდებოდა ბინები, ან ვინ ანაწილებდა ამ ბინებს? ვისაც შუბლის ძარღვი გაწყვეტილი ჰქონდა, თან მკლავში ძალა ერჩოდა (მათ შორის, ძირითადად არადევნილები მოქმედებდნენ), სისტემატურად იღებდა ინფორმაციებს, მიტოვებული ობიექტების შესახებ, გამაგრდებოდნენ შიგნით, ვერც პოლიცია ეკარებოდა, ვერც სხვა. ეს, ვითომ დევნილები, — შემდეგ ისევ დევნილებზე ჰყიდიდნენ. ბევრს გაუმართლა, მერე რა, რომ კანონს არღვევდა, დღევანდელი მდგომარეობით ეს ბინები უკვე მათ საკუთრებაშია. ყველა ობიექტს, თავისი რჩეული ჰყავდა, განაგებდა იქაურობას, თითქოს მამამისის მემკვიდრეობიდან ერგო რამე. თუ დევნილი, მიაკითხავდა ასეთ ობიექტს, იქნებ სადმე, ცარიელი ოთახი იყოსო, აუცილებლად, ასეთი მამასახლისის წინ უნდა წარმდგარიყო. თუ სანდოობას შეგატყობდნენ, იწყებოდა ვაჭრობა, თუ არა და, კუდით ქვას გასროლინებდნენ. ასეთი კრიმინალური ქმედების უკან, წლების მანძილზე იდგა დევნილთა და ლტოლვილთა სამინისტრო. რატომღაც, მათ ყოველთვის ბინებისა თუ, სხვა სახის დახმარებების გარეშე რჩებოდათ, ის ადამიანები, ვისაც, მართლა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარდა სხვაგან არსად უცხოვრია. ძალიან ძნელია აქამდე [illegible] საქმეების გამოსწორება, თუმცა ბატონი მინისტრი [illegible].

ვაჟა-ფშაველას 16-ში მიმდინარეობს [illegible] დევნილთა რეგისტრაცია, გარკვეულ ფართებზე. პირველ დღეებში დიდი რიგები იდგა, შემდეგ შედარებით იკლო. აქ, მდგომ ადამიანებს, იმედი არ აქვთ, რომ სამართლიანად მოხდება ბინების განაწილება. როგორც ჩანს, სამი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კომისია სწავლობს პიროვნებას, ერგება თუ არა ბინა. ვინ არიან ამ კომისიის წევრები, აქვთ თუ არა მათ, მორალური უფლება კომისიაში ყოფნის, რადგანაც ზემოთ აღწერილი ქაოსის სადავე ხელში დევნილთა სამინისტროს ეჭირა.

ვაჟა-ფშაველას 16-ში, იმდენ მოარულ ჭორ-მართალს გაიგებთ, ჯობია ყურებში თითი დაიცოთ, იმიტომ, რომ ის პატარა რწმენა და იმედი, არ მოკვდეს, რომელიც გვაქვს, დღევანდელი სამინისტროს მიმართ. აკი ამბობენ, ყველაზე დიდი მკვლელი, რწმენისა და იმედის მკვლელიაო.

ეჭვებს ამძაფრებს და დევნილთა აღშფოთებას იწვევს, ის ანკეტები, რომლებიც მათ უნდა შეავსონ. კითხვარის I ნაწილი ლოგიკურია, მაგრამ II ნაწილი უკვე აბსოლუტურად იდენტურია, სოციალური სააგენტოს კითხვარებისა, რომლის შევსების მერე, ადამიანს ენიჭება, ან არ ენიჭება, სოციალური სტატუსი. მაგრამ, რა შუაშია ეს კითხვარი, იმ არაკომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთან, რომელიც მხოლოდ საცხოვრებელ ფართს ითხოვს, ყოვლად გაუგებარია. ადამიანი ხმარობს თუ არა ჰიგიენურ საშუალებებს, რამდენს იხდის ტრანსპორტში, იხდის თუ არა კომუნალურ გადასახადს, რა ქონებას ფლობს მისი და ან ძმა, ეს რა საკითხავია. ვინც, არც ჰიგიენურ საშუალებას ხმარობს, არც კომუნალურებს იხდის, არც ტრანსპორტით სარგებლობს, სასაფლაოზე განისვენებს და შესაბამისად, მათ, საცხოვრებელი ფართი არ სჭირდებათ. სწორედ ეს კითხვარები არის ეჭვების სათავე, რადგან ცოცხალი ადამიანი ნულოვან შეფასებას ამ კითხვებზე ვერ მიიღებს. მხოლოდ ნულოვანი შეფასების დროს შეიძლება მიიღონ, სასურველი შედეგი. ე. ი. დაკმაყოფილდნენ ბინით. ვინ დაიცავს სიმართლეს? დევნილთა უფლებების დამცველი არასამთავრობოების მიმართ, დევნილების ნდობის ფაქტორი ნულია. ასევე, გაუგებარია აფხაზეთის მთავრობის როლი, რომელსაც დევნილებზე მეტად, თავისი სხვა პრობლემების მოგვარება მიაჩნია პრიორიტეტულად.

**ეს „მარადმწვანე“ მთავრობა, მხოლოდ საკუთარი საქმეების მოვლა-პატრონობითაა დაკავებული. ბოლოს და ბოლოს დევნილები, ისევ და ისევ დევნილთა სამინისტროს იმედად რჩებიან.**

ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით სამინისტროს 11 თვის განმავლობაში გაცემული აქვს 601 ბინა, მათი ინფორმაციით კი, ეს ციფრი, წლის ბოლომდე 2000-მდე გაიზრდება. ციფრები იმედის მომცემია.

იმედის მომცემია მინისტრის, ბატონ დავით დარახველიძის ყველა ინტერვიუ და განცხადება. ბატონო მინისტრო, ასი თვალი და ასი ყური გჭირდებათ, ეს ძალიან სათუთი საქმე, ბოლომდე პატიოსნად რომ მიიყვანოთ. თქვენს გარემოცვას რომელსაც, თუნდაც ერთი დღე უმუშავია გასულ წლებში დევნილთა სამინისტროში, არავინ ენდობა. ჩააბარეთ, ეს გამოცდა წარმატებით და მოარულ ხმებს ცივი წყალი გადაესხმება!

**ნატო ხაფთანი**

## მწარე რეალობა!

# შელახული ღირსება

## ყველა მთავრობას რატომღაც ჭირის დღესავით ვეზარებით აფხაზეთის ომის ვეტერანები

**— ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ მოიყვანეს სნაიპერის ტყვიით მოკლული ახალგაზრდა, სახეზე ღინღლი ჰქონდა, ეტყობოდა, პირი ჯერ არასოდეს გაეპარსა. სასახლეში ჩავასვენეთ, როგორც კი რიტუალს მოვრჩით, მალევე მოვიდა დაღუპულის მამა. ჩუმი ქვითინით შეიყვანეს პატარა გმირთან. ჩვენც, ვინც იქ ვიყავით, გულდაწყვეტილებმა, თვალცრემლიანებმა გავაცილეთ ისინი. — ასე იხსენებს აფხაზეთის ომის ქრონიკებს ომის ვეტერანი მალხაზ უთმელიძე.**

სამწუხაროა, რომ მხოლოდ 27 სექტემბერი, სოხუმის დაცემის დღე გვახსენებს ხოლმე ომის საშინელებას, ბრძოლაში დაღუპულებს, ომგამოვლილ ადამიანებსა და მათ ტრაგიკულ ამბებს. დღემდე ვერ გაეცა პასუხი კითხვას, ვისთვის ან რისთვის იყო საჭირო ამდენი მსხვერპლი, რა მიზანს ემსახურებოდა დაღვრილი სისხლი, რატომ იომეს?

შეიძლება ერთობ რიტორიკულად ისმის კითხვა — რატომ იომეს?! თუმცა ამაზე პასუხი არ აქვთ თვით იმ ნაომარ ვაჟკაცებს, რომლებიც ტყვიას მკერდს უშვერდნენ. მალხაზ უთმელიძეც ერთ-ერთი მათგანია. **„ყველა მთავრობას ჭირის დღესავით ვეჯავრებით. ჩვენი პრეზიდენტი გადამთიელ მომღერლებს აჯილდოებს, ვერ გავიგე, რისთვის? აფხაზეთის ომის ვეტერანები ერთი მადლობის ღირსი არ გაგვხადა. მოვიდა ივანიშვილი, შეგვპირდა, ვეტერანები დაფასდებითო, იმედი მოგვეცა, მგონი ეს იმედიც ფუჭია“...**

მალხაზი 1992 წლის სექტემბერში წავიდა აფხაზეთში ომში მოხალისედ, ეროვნული გვარდიის მეთერთმეტე ბრიგადის სამედიცინო ასეულში ჩარიცხეს, ოჩამჩირეში, ცაგერაში, ტამიშში, ბესლახუბაში, კინდღში, სადაც კი სამედიცინო ჰოსპიტალი გაჩერდებოდა, თავდაუზოგავად იბრძოდნენ ბიჭები დაჭრილთა გადასარჩენად... დიდი ქებით მოიხსენიებს ქირურგებს, მედდებს. **„კარვები ახალ კინდღში, ნუცა ჟღენტის კარმიდამოში გავშალეთ, — გვიყვება — საოპერაციო მანქანები ეზოში განვათავსეთ, მზრუნველი ადამიანი აღმოჩნდა ჩვენი დიასახლისი. ეზოში სამზარეულო დაგვითმო, თავისი ვაჟი ვალერი მოგვამაგრა. იქ მცხოვრები რუსი ნიკიტა შეშითა და წყლით გვამარაგებდა. თითქმის გახიზნული იყო მთელი სოფელი, დარჩენილები კი, რომლებიც თავიანთ დაღუპულებს დასტიროდნენ, რითაც შეეძლოთ, გვეხმარებოდნენ. დაჭრილებს პირველ დახმარებას ვუწევდით, მერე კი.ოჩამჩირეში ვაგზავნიდით. მიმძიმს დაჭრილ-დასახიჩრებული ბიჭების გახსენება. ჩვენი მეთაური რეზო ჯიჯეიშვილი ილლიაში ამოავლებდა ხოლმე ხელს დაჭრილებს და ბრძოლის ველიდან ორი ერთად გამოჰყავდა. ქირურგები მედდებთან ვერასა და ნინასთან ერთად ბიჭებს სიკვდილს სტაცებდნენ ხელიდან... მე დაჭრილებისთვის საუზმის მირთმევა, წამლის მიღების კონტროლი, დაღუპულების გაპატიოსნება მევალებოდა. ჯარისკაცმა ყველა ბრძანება უნდა შეასრულოს“.**

ომის ბოლო დღეები განსაკუთრებული სიმძაფრითა და სისასტიკით გამოირჩეოდა. ცეცხლმოკიდებული სოხუმი აფხაზეთის დაკარგვის სიმბოლოდ იქცა. თუმცა ამ ომს შეეწირნენ არა მხოლოდ ქართველები და აფხაზები, არამედ სხვა ეროვნების ადამიანებიც. მალხაზს ახსოვს როგორ მოიყვანეს დასისხლიანებული უგონო მდგომარეობაში მყოფი რუსი ქალი, პატარა გულში რომ ჰყავდა ჩახუტებული. **ბავშვს რამდენიმე ადგილას ყუმბარის ნამსხვრევები მოხვედროდა. იმ ღამეს ჩვენთან დავტოვეთ, მერე ოჩამჩირეში გავაგზავნეთ. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ თურმე მისი ქმარი საბრძოლველად ყოფილა წასული. ეს რომ აფხაზებს შეუტყვიათ, სახლში ხელყუმბარა შეუგდიათ. ერთი ბავშვი იქვე გარდაცვლილა. დედა და მეორე შვილი კი ჩვენ გადავარჩინეთ, — იხსენებს ვეტერანი — რომელი ერთი მოგიყვეთ. სოხუმის დაცემის შემდეგ მესამე დღეს ავიშალეთ ყველაზე ბოლოს ჩვენი ნაწილი ჩამოვიდა ოჩამჩირეში. ზღვიდან იბომბებოდა რაიონი. შეშინებული ხალხი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, დაჭრილებს კი სატვირთო მატარებელზე ვათავსებდით, სხვა საშუალება არც იყო. ერთი ბომბი ჩვენს სიახლოვეს ჩამოვარდა, კონტუზია მივიღე. თბილისში დაბრუნებულები ყველანი სამკურნალო ვიყავით, ფსიქიკა შერყეული გვქონდა“.**

პატივგების სანაცვლოდ რა დახვდათ თბილისში?! ბრძოლა — არსებობისთვის, ღირსებისთვის, გადარჩენისთვის... იბრძვიან დღემდე ყველა მისაღები ხერხითა და ფორმით, თუმცა დაფასებას ვერ მიაღწიეს. **„ჩვენს მოთხოვნებს თითქმის ყველა მიტინგზე გამოვთქვამთ... სააკაშვილმა ჯერ რეზინის ტყვიები დაგვიშინა, მერე წყლის ჭავლით დაგვარბიეს. რეზიდენციის გვერდით კარვები რომ გავშალეთ, დიდხანს ვიყავით უყურადღებოდ, ბოლოს თავზე დაგვახიეს კარვები, გვცემეს და გამოგვყარეს. გმირთა მოედანზე მემორიალთან შეკრებილი ვეტერანები პრეზიდენტის დავალებით გვცემეს“,** ომის მძიმე დღეების მოსაგონარზე არანაკლებ მტკივნეულია თბილისური თავგადასავალიც.

მალხაზმა იცის ახალკინდღელი მასპინძლის ამბის დასასრული. ვალერი, რომელიც ქართულ ბატალიონს ემსახურებოდა, დედამისის თვალწინ აფხაზებს, ჩეჩნებსა და რუსებს დაუწვრეტიათ. შერეული ჯგუფის ბოევიკებს, რუსი ნიკალაც ავტომატის კონდახებით უცემიათ, მესამე დღეს გარდაცვლილა...

თუმცა რა იცის, რა ელოდება თავად, ხვალ რა იქნება. როგორი რეაქცია ექნება მომავალში მთავრობას. იმ ჩინოვნიკებს, რომლებიც ნაბრძოლი ჯარისკაცების ბედს წყვეტენ... რა გეგმები აქვთ, რას უპირებენ ვეტერანებს.

ჩვენთვისაც საინტერესოა, რას მოგვიყვებიან ომგამოვლილები გაისად, 27 სექტემბერს?!

**თეა მოსია**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „ევრაზიული კავშირის ამჟამინდელმა კონცეფციამ ძნელად რომ საქართველო მიიზიდოს"

**საქართველოს ექსპრეზიდენტი და სსრ კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე გვთავაზობს გადაეცეს სასამართლოს თავისი მემკვიდრის პარტია**



მოსკოვისა და თბილისის ურთიერთობანი საქართველოს ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის მოსვლის შემდეგ თანდათან წესრიგდება. თუმცა, ორივე მხარეს რჩება ბევრი მოუგვარებელი პრეტენზია ერთმანეთის მიმართ. იმის შესახებ, თუ რას უნდა ველოდოთ მომავალში, ჩვენს კორესპონდენტს უამბო საქართველოს ყოფილმა ლიდერმა ედუარდ შევარდნაძემ.

**– თბილისი შეშფოთებულია რუსი მესაზღვრეების მოქმედებებით სამხრეთი ოსეთის საზღვართან. უნდა ველოდოთ პოზიციურ ცვლილებებს 27 ოქტომბერს საქართველოში პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ?**

– იმედი მაქვს, პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ დათბობის პროცესი რამდენადმე დაჩქარდება. თუმცა, ყველაფერი არც ისე მარტივია. ჩვენ გვესმის რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობათა მნიშვნელობა, მაგრამ მათი მოწესრიგებისთვის საჭიროა დრო. ამჟამადაც კი, მიუხედავად ზოგიერთი დემარშისა რუსეთის სამხედროების მხრიდან, უკვე შეინიშნება ურთიერთმოქმედებათა მოწესრიგების დადებითი ასპექტები. მე ვსაუბრობ ჩვენი პროდუქტების გასვლაზე რუსეთის ბაზარზე. კიდევ უფრო რთულია საქმე ქართველებისა და აფხაზების, ქართველებისა და ოსების ურთიერთობებთან დაკავშირებით. მაგრამ მე ოპტიმისტი ვარ, მთავარია – ყველა მხარემ დაიჯეროს, რომ ისინი მტრები არ არიან. ვიმეორებ: რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით, საჭიროა ხანგრძლივი დრო. 27 სექტემბერს სრულდება ოცი წელი 1992-1993 წლებში საქართველო-აფხაზეთის ომში სოხუმის დაცემიდან. ეს ჩემი ყველაზე დიდი, ყოველდღიური ტკივილია. მაშინ რუსეთი რომ არ ჩარეულიყო საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტში, ჩვენ აფხაზეთს არ დავკარგავდით...

**– ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი ამბობს, რომ დავით სამხრეთი ოსეთის საზღვარზე რუსეთი უბიძგებს საქართველოს, უარი განაცხადოს ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმებაზე, „ახალ ორიენტაციაზე" ევრაზიულ და საბაჟო კავშირებში, მოუწოდებს აფხაზეთის გავლით რკინიგზის გახსნისკენ.**

– ევრაზიული კავშირის დღევანდელი კონცეფცია ისეთია, რომ ძნელად რომ მიმზიდველი იყოს იგი საქართველოსთვის. რაც შეეხება რკინიგზას, მისი გახსნის შესაძლებლობას მე განვიხილავდი პრეზიდენტ პუტინთან 2003 წლის მარტის დასაწყისში სოჭში. მაშინ მოლაპარაკების დროს გაისმა „სინქრონიზაციის" პრინციპი. ესე იგი, რკინიგზის აღდგენასთან ერთად უნდა დაიწყოს ქართველი დევნილების ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნება ჯერ გალის რაიონში, შემდეგ კი უკვე აფხაზეთის სხვა რეგიონებში. ამ პროცესის გარანტია იყო ჩვენი სიტყვიერი შეთანხმება ბატონ ვლადიმერთან. სამწუხაროდ, იმავე წლის შემოდგომაზე მოხდა ჩემი გადადგომა და ყველაფერი შეჩერდა. მე მივესალმებოდი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას აფხაზეთის გავლით, თუმცა, აუცილებლად საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით, იმავე „სინქრონიზაციის" პრინციპების გათვალისწინებით. ყოველივე ნათქვამისადმი მინდოდა დამემატებინა – ბევრ რამეს აბრალებენ შევარდნაძეს, მაგრამ ჩემი მართვის დროს არასოდეს, ვიმეორებ, არასოდეს არ ყოფილა საუბარი რუსეთის არც ერთი პრეზიდენტის მხრიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებაზე, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, მოხდა 2008 წლის აგვისტოში. ეს იყო მეტად უხეში შეცდომა. არ გამოვრიცხავ, რომ დროთა განმავლობაში ეს გადაწყვეტილება გახდება კატალიზატორი სეპარატისტული მოძრაობისთვის თავად რუსეთის ფედერაციაში...

**– სწორად იქცევა ამ დროს საქართველო, როდესაც ნაკრებს აგზავნის ოლიმპიადაზე სოჭში?**

– სინამდვილეში ბოიკოტისგან იტანჯებიან, უწინარეს ყოვლისა, სპორტსმენები, უგულებელყოფილი ხდება მათი ინტერესები. ამავე დროს მე სავსებით მესმის ჩვენი საზოგადოებრიობის აღშფოთება, როდესაც გავრცელდა ხმები ოლიმპიადაში აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების მონაწილეობის შესახებ.

**– საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატობიდან ვინ მიგაჩნიათ გამარჯვებულად?**

– ერთმნიშვნელოვნად გიორგი მარგველაშვილი „ქართული ოცნებიდან". დარწმუნებული ვარ მის დამაჯერებელ გამარჯვებაში. მივუთითებდი პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილის სიტყვებს, რომელმაც მარგველაშვილი დაახასიათა, როგორც განათლებული, გაწონასწორებული და წესიერი ადამიანი. პრემიერმა, მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობითა და პირდაპირობით, ისეც განაცხადა, რომ გიორგი მარგველაშვილისადმი ნდობის აღმოჩენა ნიშნავს ნდობის აღმოჩენას თავად მისადმი. საქართველოს ხალხს სჯერა ივანიშვილისა – ადამიანისა, რომელმაც გაათავისუფლა ქვეყანა ოდიოზური მმართველობისგან.

**– მაგრამ ივანიშვილმა განაცხადა, რომ არჩევნების შემდეგ მალე გადადგება...**

– თავად პრემიერი ამბობს, რომ მისი მთავარი მიზანი იყო ქვეყნის გათავისუფლება სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმისგან. მე პირადად ვარჩევდი, რომ ივანიშვილმა გააგრძელოს თავისი ყოფნა მთავრობის მეთაურის პოსტზე. მაგრამ მან გადაწყვეტილება უკვე მიიღო. მაგრამ ძნელად რომ იყოს ეს გადაწყვეტილება სპონტანური, მოუფიქრებელი – ამის უფლებას მაძლევს ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება. დარწმუნებული ვარ, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკური არენიდან წასვლის შემდეგაც თავის საქმიანობას მოახმარს საქართველოს კეთილდღეობას.

**– შესაძლებელია თუ არა სირიაში სამხედრო ჩარევის თავიდან აცილება, როგორია თქვენი პროგნოზი?**

– თუ სირიის ხელმძღვანელობამ მართლაც გამოიყენა ქიმიური იარაღი, მსოფლიო გაერთიანება თვალს არ დახუჭავს ამ დანაშაულზე. მე იმედს მაძლევს წამყვანი ქვეყნების ხელმძღვანელების სიფრთხილე სამხედრო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. მივესალმები შეთანხმებას სირიის ქიმიური იარაღის გადაცემასთან დაკავშირებით საერთაშორისო კონტროლქვეშ, რასაც მიაღწიეს რუსეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. მოლაპარაკებათა კონსტრუქციული ხასიათის გათვალისწინებით, მე მაინც იმედი მაქვს, რომ შევძლებთ, თავიდან ავიცილოთ ძალოვანი კვანძის გახსნა.

ИЗВЕСТИЯ

## დედამიწის ზურგზე



**იაპონელ პოლიტიკოსებს სამხრეთ კურილიებზე შესვლაზე აქრძალვით დაემუქრნენ**

შესაბამისი განცხადებით გამოვიდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო. ასეთი განცხადების საბაბი გახდა იაპონიის ოკინავისა და ჩრდილოეთის საქმეთა მინისტრის იტიტა იამამოტოს პროვოკაციული გამონათქვამები. კურილიის კუნძულების მონახულების შემდეგ მან განაცხადა, რომ „იგრძნო იაპონიისთვის მათი დაბრუნების აუცილებლობა". საგარეო საქმეთა სამინისტროში განცხადება უადგილოდ მიიჩნიეს.

* * *

**ეროვნული უშიშროების სააგენტოს „კონტროლქვეშ" ჰყავდა ამერიკელები ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ**



როგორც გასაიდუმლოებული დოკუმენტებიდან გახდა ცნობილი, 1967 და 1977 წლებს შორის ეროვნული უშიშროების სააგენტო ახორციელებდა პროგრამას „მინარეთი", რომლის ფარგლებშიც უსმენდნენ ამერიკის შეერთებული შტატების 1650 მოქალაქის საერთაშორისო საუბრებს. თვალყურს ადევნებდნენ მთელ რიგ ცნობილ და გავლენიან პირებს, ისეთებს, როგორებიც არიან მარტინ ლუთერ კინგი და მოჰამედ ალი.

* * *

**მადურომ უარი განაცხადა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე წასვლაზე: მის წინააღმდეგ მზადდებოდა პროვოკაციები**



ვენესუელის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაცია საქმის კურსში იყო მის წინააღმდეგ მომზადებულ პროვოკაციასთან დაკავშირებით, მაგრამ „პრეზიდენტ ობამას სისუსტემ არ მისცა მას საშუალება, მიეღო შესაბამისი ზომები".

* * *

**ბილ კლინტონი ენდობა პუტინს სირიის საკითხში: იგი ყოველთვის ასრულებდა სიტყვას აშშ-სთან შეთანხმებებში და „საერთოდ ჭკვიანი კაცია"**

ასეთი აღიარება შეერთებული შტატების ექსპრეზიდენტმა გააკეთა სიენენთან ინტერვიუში. უეჭველია, „უნდა ვნახოთ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. ასეთ საქმეებში უნდა ვიმუშაოთ უკეთეს შედეგზე და ველოდოთ უარესს. მაგრამ, ვფიქრობ, რომ იქნებოდა საშინელი შეცდომა არ გამოვიყენოთ შესაძლებლობა",– თქვა კლინტონმა.



# პრეზიდენტი სააკაშვილი გაეროში: „რუსეთელებს ემახსოვრებათ პუტინი, როგორც ძველი დროის აჩრდილი..."

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოთხშაბათს გამოვიდა გენერალურ ასამბლეაზე გაეროში, და შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მისი სიტყვის დიდი ნაწილი მიძღვნილია რუსეთის როლის დანახვისადმი რეგიონში და მისი გავლენისადმი სსრ კავშირის ყოფილ რესპუბლიკებზე, მათ შორის საქართველოზე.**

პრეზიდენტმა სააკაშვილმა იწინასწარმეტყველა „კაგებეს ყოფილი აგენტის ვლადიმერ პუტინის" სწრაფი წასვლა კრემლიდან, „რუსეთის იმპერიის" დასასრული, ეგრეთ წოდებული „ევრაზიული კავშირის" პროექტის ჩავარდნა, მან დაგმო ქართული მიწების ანექსია რუსეთის მხრიდან, განმარტა, თუ რატომ აღიარა საქართველომ ჩერქეზების გენოციდი, აღწერა საქართველოს მიღწევები მისი მართვის პერიოდში და ითხოვა პატიება საქართველოს იმ მოქალაქეებისგან, ვისი ცხოვრებაც ვერ გააუმჯობესა. მისი სიტყვა იყო მგზნებარე და ხატოვანი. მისი სიტყვის დაახლოებით შუა პერიოდში რუსეთის დელეგაციამ პროტესტის ნიშნად დატოვა გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომათა დარბაზი.

**„რამდენიმე წლის შემდეგ ვლადიმერ პუტინი წავა კრემლიდან, გაქრება რუსეთის პოლიტიკიდან, – თქვა სააკაშვილმა. – რუსეთის მოქალაქეებს ეხსომებათ იგი, როგორც ძველი დროის აჩრდილი. არავინ იცის, იქნება თუ არა ეს პროცესი მშვიდობიანი თუ ძალადობრივი, იქნება თუ არა მისი მიმდევარი ნაციონალისტი ან ლიბერალი, ანდა ერთიც და მეორეც, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ რუსეთი შეწყვეტს მაშინ იყოს იმპერია, იგი გახდება ნორმალური სახელმწიფო".**

სააკაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთი აგრძელებს ქართული მიწების ანექსიას და ამით ამცირებს საქართველოს. მან ისაუბრა იმის შესახებ, რომ წინა დღით გაეროში შეხვედრის დროს ვლადიმერ იანუკოვიჩი ჩიოდა მასთან, სააკაშვილთან, იმაზე, თუ რა ზემოქმედებას ახდენს მასზე რუსეთი. სააკაშვილმა თქვა, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, ძლიერი სახელმწიფოები – უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი, აზერბაიჯანი – არ არიან ხელსაყრელი რუსეთისთვის.

**„თქვენ ფიქრობთ, რომ პუტინს უნდა აზერბაიჯანთან კონფლიქტში სომხეთმა გაიმარჯვოს? არა. ეს სომხეთს გახდიდა ძალიან ძლიერ და პოტენციურად მეტად დამოუკიდებელს. თუ ფიქრობთ, რომ პირიქით – მოსკოვს სურს რათა ბაქომ ძლიოს ერევანს?** – თქვა თავის სიტყვაში სააკაშვილმა, რომელსაც მხედველობაში მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი ჰქონდა. **– არა, მათ არ სურთ, რომ რომელიმემ, საერთოდ, გაიმარჯვოს, სწორედ კონფლიქტია მათი მიზანი, ვინაიდან იგი ხელს უშლის ერებს გახდნენ დამოუკიდებლები და ბლოკავენ მათს ინტეგრაციას ევროკავშირში".**

**სააკაშვილმა განაცხადა, რომ „ევრაზიული კავშირის იდეა ჩამოყალიბდა, როგორც ევროკავშირის ალტერნატივა ვლადიმერ პუტინის მიერ და არის მისი ახალი საპრეზიდენტო ვადის ძირითადი პროექტი".**

სააკაშვილმა გაგვაფრთხილა, რომ საქართველოსა და სხვა ქვეყნებში – სსრ კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში – მუშაობენ „რუსეთის რუპორები", რომლებიც ცდილობენ, გააშავონ ევროკავშირი და მისი ღირებულებანი.

**იმ დროს, როდესაც რეგიონი რჩება კონფრონტაციის ცენტრად, გააგრძელა საქართველოს პრეზიდენტმა, ყოფილი დაპყრობილი ერები უნდა გაერთიანდნენ თავიანთი ძალების საფუძველზე და არ წარმოაჩინონ თავიანთი სისუსტეები. „ერთიანობა უნდა იყოს ჩვენი წესი აღმოსავლეთ ევროპაში, მათ შორის კავკასიაშიც",** – თქვა საქართველოს პრეზიდენტმა.

მან აგრეთვე აღნიშნა საქართველოს მიღწევები ეკონომიკაში, კორუფციასა და დანაშაულობებთან ბრძოლაში ხელისუფლებაში მისი ორი ვადით ყოფნის დროს – და აღიარა თავისი პასუხისმგებლობა მათ წინაშე, ვისაც მისი პრეზიდენტობის პერიოდში მიღწევებმა გვერდი აუარეს.

ეს იყო პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსათხოვარი სიტყვა გენერალური ასამბლეის წინაშე. იწურება მისი მეორე და საბოლოო ვადა სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე.

მალე პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლიდან რუსეთის წარმომადგენლობამ გაეროსთან გააკეთა შემდეგი შინაარსის განცხადება:

**„მის მიერ 2008 წელს სამხრეთ ოსეთში გაჩაღებული სისხლიანი ავანტიურის ჩავარდნის შემდეგ სააკაშვილის გამოსვლები გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ყოველთვის გამოირჩეოდნენ უხეში ანტირუსული გამოხდომებით. ამჯერად ეს იყო არა გამოსვლა, არამედ ბოდვითი აზრების ნაკრები, რომელიც ატარებდა არა უბრალოდ ანტირუსულ, არამედ რუსოფობიურ და ანტიმართლმადიდებლურ ხასიათს. ქართველი ხალხის საბედნიეროდ, ახლოა ამ ადამიანის პოლიტიკური კარიერის მზის ჩასვლა ვისი ფსიქოლოგიური მდგომარეობაც პროფესიულ შეფასებას მოითხოვს".**

Voice of America

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ეს მომავალ თაობებს სჭირდებათ!**

# მამულიშვილის არდავიწყება

**რამდენიც არ უნდა ვწეროთ ისეთ დიდბუნებოვან მამულიშვილზე, როგორიც ექვთიმე თაყაიშვილი იყო, ჯეროვნად მაინც ვერ შევაფასებთ იმის ზეადამიანურ ღვაწლს სამშობლოსა და მომავალი თაობის წინაშე.**

თითქმის 25 წლის განმავლობაში, მშიერმა და უპოვარმა, უპოვარმა და უმდიდრესმა მეჭურჭლეთუხუცესმა ექვთიმე თაყაიშვილმა, უცხო მიწაზე, ქართველი ერის განძს ერთგულად უპატრონა, სულის ღვთაებრივი სიმტკიცე გამოავლინა და... წმინდანისა და ღვთისკაცის უკვდავი სახელიც დაისაკუთრა.

ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავი გამორჩეული ერთსულოვნებით აღინიშნა მთელმა საქართველომ. ამ მოვლენის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით, მაგრამ რამდენიმე კონკრეტულ ღონისძიებაზე მაინც შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

18 სექტემბერს, ვერის პარკის შესასვლელთან მდგარ ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლთან ლამის მთელი თბილისი შეიკრიბა... საიუბილეო ღონისძიების სტუმრებს, მასპინძლებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას მხურვალედ მიესალმნენ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „მამულიშვილთა გახსენების" პრეზიდენტი ბონდო კობაძე, აკადემიკოსი გურამ ლორთქიფანიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი, კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე, ე. თაყაიშვილის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ნელი ჩაფიძე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, ლიხაურის ე. თაყაიშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი რუსლან ურუშაძე, ე. თაყაიშვილის საქველმოქმედო ფონდის პრეზიდენტი, პროფესორი ნინო მამარდაშვილი, საქართველოს სახალხო მხატვარი, პროფესორი ემირ ბურჯანაძე, ე. თაყაიშვილის დისშვილთაშვილი გიორგი გოთუა, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი როინ ლიპარტელიანი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, პროფესორი რევაზ ადამია...



საიუბილეო ღონისძიება ვერის პარკიდან მთაწმინდის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გაგრძელდა. აქ ექვთიმე თაყაიშვილის საფლავთან სიტყვები წარმოთქვეს დავით გარეჯის ეკლესიის მოძღვარმა მამა იოანემ, პროფესორმა ბიძინა ნანობაშვილმა, ჟურნალ „ცისკრის" მთავარმა რედაქტორმა, პოეტმა ბალათერ არაბულმა, მედიცინის დოქტორმა, აკადემიკოსმა გელა მუხაშავრიამ, გაზეთ „ძველი თაობის" რედაქტორმა, პოეტმა ოთარ ურუშაძემ, ანსამბლ „ერისიონის" სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოს სახალხო არტისტსმა ჯემალ ჭკუასელმა და სხვებმა.

საიუბილეო შეხვედრების გვირგვინი იყო რუსთაველის სახელმწიფო, აკადემიურ თეატრში (დიდი მადლობა თეატრის ხელმძღვანელობას) გამართული ღონისძიება. აქ შეკრებილთ მიესალმნენ საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე დავით შემოქმედელი, გურიის მხარის დელაგაციის ხელმძღვანელი, ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძე, პოეტი ერეკლე საღლიანი, საჩხერის აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის დირექტორი ცეზარ ლაშხი, პროფესორები ემირ ბურჯანაძე, პაატა სურგულაძე, გიორგი გოთუა... ზეიმში მონაწილეობდნენ საქართველოს სახალხო არტისტი ჯემალ ღაღანიძე და ექიმი-ოფთალმოლოგი, პროფესორი ვახტანგ გაჩეჩილაძე, მომღერლები, მუსიკოსები, ანსამბლები „რუსთავი", „ერისიონი", ტრიო „კელაპტარი".

ერთი საინტერესო დეტალიც: შპს „დუგლაძეების ღვინოების კომპანიამ" სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის ჩამოასხა თეთრი („წინანდალი") და შავი („მუკუზანი") ღვინო წარწერით — ექვთიმე თაყაიშვილი — 150.

საბოლოო სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა ბონდო კობაძემ, რომელმაც ერთობ სოლიდური, თითქმის 1000-გვერდიანი საიუბილეო წიგნით გაახარა ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველი.

ამ წიგნის შესახებ ჩვენმა დიდმა მწერალმა ჭაბუა ამირეჯიბმა ამას წინათ თქვა: „ეს დიდებული წიგნი სიტყვით ნაჭედი ძეგლია წმინდა ექვთიმე ღვთისკაცისადმი მიძღვნილი. ნეტავი იგი ყველა ქართული ოჯახისთვის ხელმისაწვდომი იყოს, რათა მომავალმა თაობებმა იცოდნენ, როგორ უნდა სამშობლოს სიყვარული და მამულიშვილობა"...

ამით ყველაფერია ნათქვამი.

**დავით ძოწულაძე**

**ვინ — ვის?**

# „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე ციხე არ არის"

**FORGE-ს რედაქციაში არ წყდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ახალი დირექციით უკმაყოფილო პედაგოგთა თუ მშობელთა ნაკადი. ამჯერადაც მათი მორიგი ტალღა კიდევ ერთხელ გვეწვია საკუთარი პოზიციის გამოსათქმელად.**

მათ თავიანთი მოთხოვნა სამ ნაწილად ჩამოაყალიბეს: **„გაუქმდეს ტურნიკეტები, რომლებიც ახალმა დირექტორმა ქეთევან ფეიქრიშვილმა სასახლეში შესული და სასახლიდან გასული ბავშვების გასაკონტროლებლად დაადგმევინა, რადგან სასახლე ციხე არ არის; ამ საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაიბრუნოს თავისი ფუნქცია და გამოაშკარავდეს ახალი დირექციის სიცრუე". თუკი ეს მოთხოვნები უმოკლეს ვადაში არ დაკმაყოფილდება, სასახლის კოლექტივი, მშობლებთან ერთად, რადიკალურ ზომებს მიმართავს, მათ შორის, — საპროტესტო აქციებსაც.**

**მათი თქმით, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე ყოველთვის ხელისუფალთა ინტერესის სფერო იყო. სასახლის ხელში ჩასაგდებად ჯერ მიხეილ სააკაშვილი და გიგი უგულავა იბრძოდნენ, ნინო ანანიაშვილისთვის უნდოდათ მისი გადაცემა. თუმცა, ვერაფერს მიაღწიეს, რადგან მთელი საქართველო ფეხზე დადგა. ამის შემდეგ უგულავამ მათგან ფარულად სასახლის ლიკვიდაცია მოახდინა და პედაგოგებს წაართვა სტატუსი, რის შემდეგაც ისინი უბრალო მუშაკები გახდნენ.**

**თუმცა, ერთიც კია — თუ მანამდე სასახლის ბიუჯეტი 900 ათასი ლარი იყო, უგულავას ხელში ბიუჯეტი გაიზარდა და მილიონ ნახევარი ლარი გახდა. ცხადია, ამ თანხით სასახლეს თავისუფლად შეეძლო არსებობა, მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე გადაამისამართეს სპორტის სამინისტროზე; მაშინ ლადო ვარძელაშვილი იყო მინისტრი, რომელმაც სასახლელთა ინფორმაციით, თავისი ყოფილი ცოლის მეჯვარე ლიკა მელვინიშვილი დანიშნა სასახლის დირექტორად, იგი თითქმის ერთი წელი კაბინეტიდან არ გამოსულა და კოლექტივის დაშლას ცდილობდა; ტესტირება და მოკლე დროში გამოცდების ჩაბარება მოითხოვა. ამასობაში „ქართულმა ოცნებამ" მოუსწრო პედაგოგებს, რომლებიც, როგორც თავად ამბობენ, დიდი სიხარულით ელოდნენ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენას.**

**თუმცა, ახალმა დირექტორმა ქეთევან ფეიქრიშვილმა ნაციონალების მიერ დაარსებული სამმართველოები კიდევ უფრო „გაბერა", სადაქალო-საძმაკაცოდან 40-მდე ადამიანი მიიყვანა სასახლეში და დაასაქმა.**

„ისინი არაპროფესიონალები არიან. მათი ყველაზე ნაკლები ხელფასი 800 ლარია და ეს ხელფასები საკმაოდ სოლიდურია — 1500 ლარიდან ზემოთ -5500 ლარამდე. ამ დროს არანაირი დანიშნულება ამ სამმართველოებს და ამ ხალხს არ აქვს. ჩვენ გვყავს მხატვრული ხელმძღვანელი, ცნობილი რეჟისორი გოგი თოდაძე, რომელსაც მთელი საქართველო პატივს სცემს. „პირველვე თათბირზე ქეთევან ფეიქრიშვილმა გვითხრა, მე სასახლისთვის ყველაფერი კარგი მინდა და, ვინც არ გაიგებს, რაც მე მინდა და ხელს შემიშლის, თავებს წაგასხიპავთო" , — აღნიშნეს ჩვენთან საუბრისას პედაგოგებმა.

პედაგოგებთან ერთად, სასახლის აღსაზრდელთა მშობლებიც აცხადებენ, რომ „ახალმა დირექტორმა მოსვლის დღიდანვე ბავშვებისთვის პირველ შესატანად ასი ლარი დააწესა. როცა პედაგოგებისგან უარს წააწყდა, უპასუხა, მე არ მჭირდება მათხოვართა შვილებიო. თუმცა, მოგვიანებით ეს ნათქვამი გადათქვა, ასეთი რამ არ მითქვამსო".

შემდეგ გადაწყვიტა ფონდ „ამაგდარის" დაარსება. სასახლის ყოფილ აღზრდილებთან შეხვედრა მოაწყო და მოსთხოვა, თქვენ სასახლემ გაგზარდათ და ას-ასი ლარი უნდა შესწიროთო; ამ შეხვედრას ცნობილი მსახიობი გურამ ჯაში, სუხიშვილების მოცეკვავე ომარ მხეიძე და სხვებიც ესწრებოდნენ. თურმე, გადარეულა ომარ მხეიძე, ასეთი რამ არ გამიგია, სასახლეს ფული მოეთხოვოს ვინმესთვისო და, იქაურების თქმით, გინებით დაუტოვებია სასახლე. თუმცა, დირექციის მხრიდან ფულის მოძიების სურვილი არ განელებულა. ფინანსთა მინისტრ ხადურსაც მოსთხოვეს უშველებელი თანხა და ამის გამო დიდი ამბავი ატყდა. თანაც, როგორც სასახლის წარმომადგენლებმა გვითხრეს, ეს საქმე „შეაწერეს" ნოდარ დუმბაძის ქალიშვილს, ქეთევან ფეიქრიშვილის დაქალს; მოგვიანებით კი დირექციამ ხელები დაიბანა, ჩვენ არაფერ შუაში არ ვართო. ნოდარ დუმბაძის ქალიშვილი შეეწირა ამ ამბავს და სამსახურიდან გაუშვეს.

„სასახლე ის ორგანიზმია, სადაც ნებისმიერი ბავშვი თავისუფლად უნდა შედიოდეს და გადიოდეს. ქეთევან ფეიქრიშვილს კი ტურნიკეტებისთვის ჯერ ასი ლარი სჭირდებოდა, შემდეგ 50 ლარზე ჩამოვიდა. მას უნდოდა, სასახლე კერძო ელიტარულ ორგანიზაციად გადაექცია. ამის წინააღმდეგნი ვიყავით, მოიწვია თათბირი და გვითხრა, ახლა არანაირი კითხვები არ იქნება, ჩემს სათქმელს მოგახსენებთო. ერთმა-ორმა პედაგოგმა სცადა შეპასუხება, მაგრამ კითხვის დასმის საშუალება არ მისცა. დაგვპირდა, იმ ხალხს, ვისაც პატარა ხელფასი აქვს, ხელფასი 60 ლარამდე გაეზრდება; ხოლო 2014 წლის შემდეგ, თუკი ბიუჯეტს დაგვიმატებენ, მაშინ ბიუჯეტის ხარჯზე გაგეზრდებათ ხელფასიო. იმითაც დაგვემუქრა, თუ დღეს ამ ტექსტს ხელს არ მოაწერთ, მაშინ ხელფასები ბიუჯეტის ხარჯზეც არ გაგეზრდებათო. ახლა იძახის, ზეწოლა არ მომიხდენია პედაგოგებზეო. განა ზეწოლა არ არის, როცა არ მაძლევს დისკუსიაში შესვლის უფლებას?! სამ წუთში ხუთჯერ შეცვალა ტექსტი. პირველ დღეს პედაგოგებმა ტექსტზე ხელი არ მოუწერეს, შემდეგ, ცხადია, დაბალი ხელფასის მქონე ხალხმა საკუთარ ჯიბეზე დაიწყო ფიქრი და იძულებით მოაწერეს ხელი ტექსტს („იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტი არ შეიცვლება, თანახმა ვარ, ვიმუშავო ჩემს არსებულ ხელფასზე, რაზედაც ხელს ვაწერ"), — აღნიშნეს სასახლის წარმომადგენლებმა.

მათივე თქმით, მომხდარის გამო დღე ეს ყველა ნანობს. **თუმცა, ახალი დირექტორი განსაკუთრებით ქორეოგრაფებს ემუქრება, ამოგიყრით ძველ საქმეებსო. მშობლებსა და პედაგოგებს აინტერესებთ, რომელ ძველ საქმეებზეა საუბარი, როცა ყველამ კარგად იცის, რომ ქორეოგრაფები თავიანთი ასლარიანი ხელფასით მთელი დღის მანძილზე 200 და 300 ბავშვთან ვერ იმუშავებდნენ. ამიტომაც თითო ბავშვისგან 40 ლარს იღებდნენ, რადგან ამით მუსიკოსის თანხაც უნდა გაესტუმრებინათ, ზედმეტი დარბაზიც ექირავათ, დამლაგებლისთვისაც ფული გადაეხადათ და ა.შ.**

**„მინისტრი ლევან ყიფიანი ცოტა შეშინებული იყო. დათმობაზე მიდიოდა, თუმცა, სასახლის ახალმა დირექტორმა წაუღო ხელმოწერილი დოკუმენტები და უთხრა, რას მერჩით, კოლექტივი თანახმაა, ზეწოლა არ ყოფილა, ყველაფერი შეთანხმებით მოხდაო. სინამდვილეში, ეს იყო მოტყუება, იძულება და ასე მოაწერინა კოლექტივს ხელი. დაიანგარიშეს და რაღაც 15 ლარი ემატებოდათ პედაგოგებს ხელფასი იანვრიდან. თუმცა, უფრო მეტიც რომ მოემატოთ, პედაგოგები თანახმა არ არიან, ბავშვების ხარჯზე მოიწყონ ცხოვრება. სასახლე თავისუფალი უნდა იყოს და ტურნიკეტები არავის უნდა. ციხე ხომ არ არის, რომ გამსვლელ და შემომსვლელ ბავშვებს აკონტროლებენ?!"** — აცხადებენ ჩვენი რესპონდენტები.

აქვე სასახლის წარმომადგენლები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილსაც პასუხობენ, რომელიც აცხადებს, რომ მთელ მსოფლიოში ასეთი დაწესებულებები თურმე ფასიანი ყოფილა.

**„ზურაბ აზმაიფარაშვილი ან ცრუობს, ან არ იცის, რომ მთელ მსოფლიოში, კაპიტალისტურ ქვეყნებში მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მსგავსი დაწესებულებები არ არსებობდა და, შესაბამისად, ვერც ფასიანი იქნებოდა, ვერც — უფასო. ასეთი ორგანიზაციები მხოლოდ საბჭოურ ქვეყნებში ფუნქციონირებდა და დღესაც პოსტსაბჭოთა ნებისმიერ ქვეყანაში-უკრაინაში, მოსკოვში, ვილნიუსში, ტალინში ამ დაწესებულებებს სახელმწიფო აფინანსებს".**

**და ბოლოს, პედაგოგებისა და მშობლების მოსაზრება ასეთია, სასახლე არ არის ე.წ. თავისუფლების ინსტიტუტი. პირიქით, აქედან გამოდიან პატრიოტი ადამიანები, ამიტომ ეს ერთი ცენტრი სახელმწიფომ როგორმე უნდა შეინახოს. მით უმეტეს, რომ მშობლები ამ თანხას ვერ იხდიან და ბავშვების დინებაც შეწყდა. თუ აქამდე სასახლეში სწავლას ათასობით ბავშვი ეუფლებოდა, ახლა მხოლოდ უცხო ენებზეა სიჭარბე, რადგან მშობლებს მთელი წლის მანძილზე ერთჯერადი 50 ლარის გადახდა აწყობთ.**



**მარიამ ლოლაშვილი**

ძალოსნობა



# დიდ ოქრომდე ორი კილო არ ეყო

ესტონეთის დედაქალაქში გრძელდება 20 და 23-წლამდელ ძალოსანთა ევროპის პირველობა. ასპარეზობის მე-4 დღეს ტალინურ ფიცარნაგზე 23-წლამდელებში ძალებს ცდიდა ქუთაისელი გიორგი ლომთაძე (77 კგ). ატაცში მან სამივე ცდა გამოიყენა და 148 კილოგრამით მცირე ოქროს მედალიც დაიმსახურა. ამ დისციპლინაში მეორე-მესამე ადგილები რუმინელმა ადრიან ჩისოუმ (146 კგ) და ესპანელმა ალეხანდრო გონსალესმა (145 კგ) დაიკავეს.

აკვრაში ლომთაძის ორი ცდა აღმოჩნდა შედეგიანი, თუმცა 180 კილოგრამით მხოლოდ მეოთხე იყო. მცირე ოქროს მედალი აქ ალეხანდრო გონსალესმა მოიპოვა. მანვე ორჭიდში 330 კილოს მოუყარა თავი და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. პირენეელს ორი კილოგრამით ჩამორჩა ლომთაძე, რომელსაც მეორე ადგილი ხვდა. 326 კილოგრამით მესამე იყო იანდერ ბეითულა (ბულგარეთი). აკვრაში 181-181 კილოგრამით მცირე „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“, შესაბამისად, ანგელოს კანავასმა (საბერძნეთი) და ბეითულამ დაისაკუთრეს.




დღეს შეჯიბრებაში ვილიამინ ალექსიძე (105) და ლაშა ტალახაძე (+105) ჩაებმებიან.

**ვაჟა დანელია**

ხელბურთი

# ქართველებს სერბი გაწვრთნის

ყატარში ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატი 2015 წლის იანვარში გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის ევროპას 24-დან 12 ადგილი აქვს გამოყოფილი (სათვალავში არ შედის ესპანეთი, რომელიც მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია და მასპინძლებთან ერთად პირდაპირ ფინალურ ეტაპზეა დაშვებული). ამ კვოტიდან სამ ადგილს 2014 წლის ევროპის პირველობის მედალოსნები დაეუფლებიან. დარჩენილი 9 საგზურისთვის ბებერი კონტინენტის დანარჩენი ქვეყნები იბრძოლებენ. 20 ნაკრები ოთხგუნდიან ხუთ შესარჩევ ჯგუფში ჩაებმება. პლეი ოფში თამაშის უფლება მხოლოდ გამარჯვებულებს ერგებათ. საქართველოს ნაკრები ლიტვასთან, თურქეთსა და ფინეთთან ერთად პირველ ჯგუფში იასპარეზებს. დანარჩენ ჯგუფებში მოსინჯავენ ძალებს:

**II ჯგუფი:** სლოვაკეთი, რუმინეთი, კვიპროსი, იტალია;

**III ჯგუფი:** სლოვენია, უკრაინა, შვეიცარია, ლუქსემბურგი;

**IV ჯგუფი:** ჰოლანდია, ისრაელი, საბერძნეთი, ბელგია;

**V ჯგუფი:** პორტუგალია, ბოსნია, ლატვია, ესტონეთი;

შესარჩევი ტურნირისთვის, რომელიც 30 ოქტომბერს დაიწყება, საქართველოს ნაკრებს სერბი სპეციალისტი ჯორჯე რასიჩი (მას ირაკლი კეკელიძე და ბექა ორჯონიკიძე დაეხმარებიან) მოამზადებს. 55 წლის რასიჩი 12 წლის განმავლობაში „მეტალოპლასტიკაში“ თამაშობდა და შვიდჯერ იუგოსლავიის ჩემპიონი გახდა, ორჯერ ევროპის ჩემპიონთა თასი (1985, 1986 წ.წ.) მოიგო, სხვადასხვა დროს ფრანგულ „ლილსა“ და ესპანურ კლუბებში გამოდიოდა. აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ მწვრთნელობა დაიწყო. მისი ხელმძღვანელობით თავიანთი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ „მეტალოპლასტიკა“ (სერბეთი), „ბუდუჩნოსტი“ (ჩერნოგორია), „ტატრანი“ (სლოვაკეთი). ლიბანის „ალ სადთან“ ერთად 2010 წელს ქვეყნის ჩემპიონატიც მოიგო და აზიის ჩემპიონთა ლიგაც, ხოლო1999 წელს მისი ხელმძღვანელობით სერბულმა „ნაპრედაკმა“ ევროპულ „ჩელენჯ კაპში“ გაიმარჯვა. წლების განმავლობაში იუგოსლავიის გოგონათა და სერბეთ-ჩერნოგორიის ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებს ედგა სათავეში. რასიჩმა საქართველოს ნაკრებთან პირველი ვარჯიშები უკვე გამართა. იგი 18 ოქტომბერს კვლავ ჩამოვა საქართველოში და უშუალოდ შესარჩევი ტურნირისთვის დაიწყებს მზადებას.



**პირველი ჯგუფის თამაშების განრიგი ასეთია:**

**30 ოქტომბერი.** ლიტვა-საქართველო, ფინეთი-თურქეთი;

**3 ნოემბერი.** თურქეთი-ლიტვა, საქართველო-ფინეთი;

**2 იანვარი.** ფინეთი-ლიტვა, თურქეთი-საქართველო;

**4-5 იანვარი.** ლიტვა-ფინეთი, საქართველო-თურქეთი;

**8-9 იანვარი.** საქართველო-ლიტვა, თურქეთი-ფინეთი;

**11-12 იანვარი.** ლიტვა-თურქეთი, ფინეთი-საქართველო.

**ლევან ცინცაძე**

**სურათზე: ჯორჯე რასიჩი.**

კალათბურთი

# ახალი სეზონის კონტურები

## სუპერლიგაში 9 გუნდი ითამაშებს. საპრეზიდენტო არჩევნები კი 14 დეკემბრამდე ჩატარდება

**გაიმართა** საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობის სხდომა, რომელმაც მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

— საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება არა უგვიანეს 2013 წლის 14 დეკემბრისა.

— გამგეობამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა საქართველოს ეროვნული ნაკრების გამოსვლა ევროპის 2013 წლის ჩემპიონატზე.

— გამგეობამ დაამტკიცა 2013-14 წლების ეროვნული ჩემპიონატის დაწყების თარიღი და მონაწილე გუნდები. ჩემპიონატი დაიწყება 2013 წლის 19 ოქტომბერს და მასში მონაწილეობას მიიღებს 9 გუნდი: „შსს აკადემია“, „ოლიმპი“, „არმია“, „ქუთაისი“, „დინამო“, „სოხუმი“, „რუსთავი“, „ბათუმი“, „მაკაბი“, სეზონი, ტრადიციისამებრ, 5 ოქტომბერს გაიხსნება დუდუ დადიანის მემორიალით.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ავტოსპორტი

# „ფერარი“ მომავალი სეზონისთვის მზადებაზე გადაერთო

**სინგაპურის დიდი პრიზის შემდეგ აშკარა გახდა, რომ სებასტიან ფეტელის და „რედ ბულის“ დამწევი ალარავინაა. გერმანელი პილოტი და ავსტრიული გუნდი ზედიზედ მეოთხედ გახდებიან მსოფლიო ჩემპიონები. ეს ნიშნავს, რომ მათს მეტოქეებს აღარ სჭირდებათ თავიანთი ტექნიკის განვითარება და, ესე იგი, დროა, მათ მთელი რესურსები მომავალი სეზონისთვის მზადებაზე მიმართონ.**

სინგაპურის შემდეგ ფეტელი თავის უახლოეს მდევარ ფერნანდო ალონსოს 60 ქულას უგებს. ესპანელს თეორიულად აქვს გასწრების შანსი, რადგან დარჩენილ 6 რბოლაში მაქსიმუმ 150 ქულის ალებაა შესაძლებელი, ოღონდ ამისათვის ყველა რბოლის მოგებაა აუცილებელი, რაც თითქმის გამორიცხულია. თავად ალონსოც აღიარებს, რომ ტიტულის მოპოვების შანსი პრაქტიკულად დაკარგულია.



„ჩვენ მარტო კორეაში კი არ გვჭირდება იღბალი, არამედ იაპონიაშიც, ინდოეთშიც, აბუ დაბიშიც, ამერიკაშიც და ბრაზილიაშიც. როცა ლიდერის დროს წამით ჩამოვრჩებით, მაშინ იღბლის დახმარების გარეშე არაფერი გამოვა“, - ამბობს ალონსო. მეორე მხრივ, კორეაშიც კი, ფეტელს მეოთხე ტიტულის განაღდება ჯერ არ შეუძლია. თუმცა, ეს იაპონიაში იქნება შესაძლებელი. მოკლედ, აშკარაა, რომ ტიტულისთვის ბრძოლაში რაიმეს შეცვლა პრაქტიკულად გამორიცხულია.

ამგვარად, გუნდებისთვის აზრი ეკარგება ბოლიდების სრულყოფას. მეორე მხრივ, მათ შანსი აქვთ, მთელი რესურსი, ახალი რეგლამენტის შესაბამისად, სრულიად ახალი მანქანების მომზადებას მოახმარონ. „მომავალ სეზონს ყველა ნულიდან დაიწყებს და ეს ჩვენთვის საუკეთესო შანსია, რათა ჩამორჩენა აღმოვფხვრათ. ახლა ჩვენ სრულად გადავერთვებით ახალი სეზონისთვის მზადებაზე“, — ამბობს ალონსო.

„ფერარის“ შეფმა სტეფანო დომენიკალიმ დაადასტურა, რომ ამიერიდან მისი გუნდი 99 პროცენტით ახალ სეზონზეა ფოკუსირებული. ალონსო კი დასძენს, რომ მომავალი სეზონისთვის მზადება უკვე დაწყებულია: „როცა „პირელიმ“ საბურავები შეცვალა, ჩვენ ვთქვით ბაი-ბაი“. ესე იგი, მარანელოელებმა ახალ მანქანაზე მუშაობა ზაფხულის პირველ ნახევარში დაიწყეს.

თეორიულად, ფეტელთან ტიტულისთვის პაექრობა კვლავაც შეუძლია ლუის ჰემილტონს, მაგრამ სინგაპურში მან აღიარა, რომ თითქმის ასქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრაზე ოცნებაც არ ღირს. მაგრამ დასძენს, რომ ალონსოს დაწევას ეცდება. თუმცა, ესეც ძალიან ძნელი იქნება, რადგან ესპანელს 36 ქულით ჩამორჩება.

**მანუჩარ გიორგაძე**

ინტერნეტიდან

# ედინსონ კავანის წინ 12-მილიონიანი განქორწინება ელის

**ნამდვილი ქალთა გულთამპყრობელი ყოფილა „პსჟ“-ს თავდამსხმელი ედინსონ კავანი. ედინსონი ჯერ ცოლს მარია სოლედადს გაშორდა, მერე კი რომანი გააბა იტალიელ მარია როზარია ვენტრონესთან. მალე ისიც მობეზრდა და ამჟამად ურუგვაელ მიქაელა ორსის ხვდება.**



ერთ-ერთი იტალიური გამოცემა იუწყება, რომ წყვილი პარიზში ერთად შენიშნეს. გამოცემა იმასაც აღნიშნავს, რომ ედინსონს გადაწყვეტილი აქვს მიქაელა მის ცხოვრებაში „ბოლო გაჩერება“ იყოს. აღსანიშნავია ისიც, რომ მიქაელა ედინსონზე 8 წლით უმცროსი და „მის ურუგვაი-2013“-ის გამარჯვებულია.

ცოტა ძნელი წარმოსადგენია ქალების მუსუსი ედინსონისგან ასეთი ერთგულება, მაგრამ სანამ „მის ურუგვაის“ ბედს საბოლოოდ დაუკავშირებდეს, მას ცოლთან და ორ შვილთან განქორწინება და 12 მილიონი დოლარის კომპენსაციის გადახდა ელის წინ.

**გიორგი შოთაძე**

## განვითარების სტრატეგია

# გავლილის გამეორება თუ რეალური სამოქმედო გეგმა?



**საერთაშორისო ბაზარზე ეროვნული ეკონომიკის მაქსიმალური კონკურენტიანობის მიღწევა — პირველი რიგის ის ამოცანაა, რომლის გადაუჭრელად საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევების ღირსეულად გამკლავება სრულიად წარმოუდგენელია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სამამულო ეკონომიკის ძალუმი წინსვლის შესახებ თითქოსდა სტატისტიკური მონაცემებითა და „ობიექტური" უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციის კვლევების შედეგებით დადასტურებული უამრავი მასალა გამოქვეყნდა, ეს მაინცდამაინც არც თავად ქვეყანას, არც, მით უმეტეს, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სოციალურ-ეკონომიკურ ყოფას არ დატყობია. ამ ვითარების განმაპირობებელ მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, ექსპერტთა ერთსულოვანი შეფასებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვნად განმსაზღვრელი მომენტი ქვეყნის ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის, კომპლექსურად გააზრებული სტრატეგიის უქონლობა იყო. სწორედ ამ დიდი ხარვეზის გამოსწორება დაავალა მთავრობამ საკუთარ ეკონომიკურ გუნდს და რომლის საჯარო განხილვები ახლახან დაიწყო.**

მთავარი აქცენტის თაობაზე, რასაც 2020 წლამდე გათვლილი სტრატეგიის პროექტის ავტორები აკეთებენ, მანამდეც ხშირად გვსმენია — კერძოდ, ლაპარაკია ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარებაზე, მოსახლეობის სოციალური ყოფის პირობების გაუმჯობესებაზე, ბიზნესის საწარმოებლად ყოველმხრივ ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე, კერძო საკუთრების უფლების დაცვასა და მისი უკანონო ხელყოფის შეუძლებლობის პირობების შექმნაზე, განათლების სისტემის რეფორმირების აუცილებლობაზე, ადამიანური რესურსების ჯეროვნად გამოყენებაზე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე და ა.შ.

წინასწარ რაიმეს თქმა, თუნდაც საკითხთა მცირედი ჩამონათვალისთვის თვალის ერთი გადავლებით, ცხადია, არათუ ძნელია, შეუძლებელიც არის. ოღონდ ისიც კარგადაა ცნობილი, რომ ყველა აღნიშნული საკითხი — ერთადაც, ცალ-ცალკეც — ბოლო თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ყველა ხელისუფლების არაერთი მთავრობის „პრიორიტეტებში" მოიხსენიებოდა, მაგრამ... შეიძლება ითქვას, რომ ეს, გარკვეულწილად, „გავლილის გამეორებაა".

დოკუმენტში „საქართველო 2020" მომავალი წლების მანძილზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, ასევე მათი განხორციელების გზების მონახაზებია განსაზღვრული.

**„საქართველო 2020"-ის სტრატეგიის მთავარ ამოცანად ყოვლისმომცველი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა დასახული, რაც მთელი მოსახლეობის ყოფაზე დადებითად უნდა აისახოს.** საბოლოო მიზანი კი ისაა, რომ ხელისუფლებამ ხალხს თევზი კი არა, მის დასაჭერად ანკესი და ბადე უნდა მისცეს, თუმცა, ცხადია, სოციალური დახმარების დონის ზრდა კვლავაც მთავრობის ზრუნვის უმნიშვნელოვანესი სფერო უნდა იყოს.

დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ქვეყნის უწყვეტი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიღწევა სამ ფუძემდებლურ პრინციპს უნდა ემყარებოდეს:

**1. მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას;**

**2. ბიუჯეტის სახსრების ხარჯის ეფექტიანობას;**

**3. სახელმწიფოს ეფექტიან მართვას.**

„საქართველო 2020"-ში განხილულია მთავრობის მოღვაწეობის უმთავრესი ასპექტები მომავალ წლებში, თუმცა კი ფაქტობრივი სამოქმედო არეალი, ცხადია, გაცილებით ფართო იქნება. რაც შეეხება დასახულის ხორცშესხმას, ამის რეალურად ხელშემშლელ გარემოებებად დასახელებულია **სამამულო მეწარმეობის დაბალი კონკურენტუნარიანობა, ადამიანური კაპიტალის არაჯეროვანი განვითარება და ფინანსურ ნაკადებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა.**

ქართული ბიზნესის პროდუქციის მსოფლიო, გნებავთ, შიდა ბაზარზე დაბალი კონკურენტიანობის დასაძლევად, დოკუმენტის ავტორთა აზრით, უწინარესად, მთავარია სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება. ეს კი, თავის მხრივ, **კერძო საკუთრების უფლების დაცვის გაძლიერებას, კომერციული დავების სამართლიან და ეფექტიან გადაწყვეტილებათა მექანიზმების სრულყოფას, საინვესტიციო კანონმდებლობის დახვეწას, სახელმწიფო მომსახურების ხარისხისა და სახელმწიფო მმართველობის გამჭვირვალობის ამაღლებას, საგადასახადო სისტემის სრულყოფას, აგრეთვე ადმინისტრაციული პროცედურების შემდგომ გამარტივებასა და ა.შ. გულისხმობს.**

**ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ეროვნული ეკონომიკის უკლებლივ ყველა დარგში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვა, რაც, უწინარესად, საამისოდ საჭირო დაფინანსების ხელმისაწვდომობას, სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარებას, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფას, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართო გამოყენების ხელშეწყობასა და სათანადო უცხოური ინვესტიციების მოზიდვას გულისხმობს.**

კონკურენტიანობის გაძლიერების მხრივ თანამედროვე პირობებში უდიდესია სამამულო პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები, კერძოდ, **ვაჭრობაში ხელის შემშლელი ბარიერების მოხსნა, სავაჭრო-ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, სათანადო დამხმარე სისტემების ჩამოყალიბება და სხვ.**

საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობის გათვალისწინებით უდიდესი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის სატრანზიტო (სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო, ენერგოშემცველთა და ა.შ.) პოტენციალის გამოყენებამ. ამის უმთავრესი წინაპირობა კი **ინფრასტრუქტურის სრულყოფა, ქვეყნის სათანადო საერთაშორისო და რეგიონულ სტრუქტურებში ინტეგრირება და საბაჟო სამსახურის განვითარებაა.**

ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის საფუძველთა საფუძვლის — ენერგეტიკის შემდგომ განვითარებას, კერძოდ, ტრადიციულთან ერთად მისი ალტერნატიული წყაროების გამოყენებას.

საქართველოსთვის სოფლის მეურნეობის როლის გადამეტებულად შეფასება, ვფიქრობთ, შეუძლებელია, ამდენად დარგის პრიორიტეტულობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამიტომაცაა, რომ დოკუმენტში მისი განვითარებისთვის აუცილებელი ნაბიჯები კონკრეტულადაა გაწერილი. ესენია, კერძოდ, **სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის მკვეთრი გაუმჯობესება, მიწის ბაზრის ჩამოყალიბება, ფერმერული მეურნეობებისა და პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობა, თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანა სხვადასხვა სეგმენტში და სხვ.**

ადამიანური კაპიტალის განვითარების მხრივ, სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, საჭიროა **სამუშაო ძალის ბაზრის მოთხოვნილებათა შესაბამისად მომზადება-გადამზადება, პროფესიული დონის ამაღლება, მუშახელის სოციალური უზრუნველყოფა და შეზღუდული შესაძლებლობების პირებზე ზრუნვა, დასაქმებულთათვის ხელმისაწვდომი და იაფიანი ჯანდაცვის, მედიკამენტოზური დაზღვევის, ასევე პრევენციული სამედიცინო მომსახურებისა და ა.შ. უზრუნველყოფა.**

მოგეხსენებათ, უფულოდ რაიმე სასიკეთოს გაკეთება შეუძლებელია, ამდენად ფინანსების ხელმისაწვდომობა სტრატეგიის ცალკე გამოყოფილი, უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ამ მხრივ პრიორიტეტად დასახულია **მოსახლეობის დანაზოგების ზრდა, მათი დაგროვებისა და დაფინანსების ინსტრუმენტების განვითარების მექანიზმების ხელშეწყობა, საპენსიო რეფორმა, საინვესტიციო ფონდების შექმნა და სხვ.**

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ზემოჩამოთვლილი ნაბიჯები ზოგადი ხასიათისაა, მათი წარმატება-წარუმატებლობა იმ შინაარსზე იქნება დამოკიდებული, რასაც თითოეულ მიმართულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები, მათი ხელმძღვანელები და სპეციალისტები კონკრეტულად ჩადებენ და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, როგორ განახორციელებენ.

**ოთარ ტურაბელიძე**

---

შვილი ნიკუშა ჩიქოვანი, რძლები ნატა მანჯავიძე, ირა ჭითანავა, [illegible] ჩიქობავა, შვილიშვილები ნინო, მარიამი, გიორგი, ქეთევანი, ანანელი, დისწულები გოგი, თამილა ჩიქოვანები ოჯახებით, ძმისწულები ნუკრი, ნინო ჩიქოვანები ოჯახებით, მძახლები ამირან მანჯავიძე, ნინო ვადაჭკორია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გიორგი (გოგი) ნიკოლოზის ძე ჩიქოვანი**

პანაშვიდი 27, 28 IX, 17 სთ. მის. ოქროყანის ბოლო აღმართი №2, დაკრძალვა 29 IX, 15 სთ. საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების სახელობის ეკლესიიდან.

---

## ინფორმაცია

### სტიქია გვიტევს

როგორც „ინტერპრესნიუსს" რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა მაგდა პოპიაშვილმა აცნობა, ყველაზე მძიმე ვითარება სვანეთის რეგიონშია, სადაც მოსულმა წვიმამ და თოვლმა მოსახლეობას ყველაზე მეტი პრობლემები შეუქმნა.

პოპიაშვილის ინფორმაციით, სვანეთის მოსახლეობამ სათიბებიდან თივის სახლებამდე მიტანა ვერ მოასწრო. ამის გამო ადგილობრივი ხელისუფლება, ინფრატრუქტურის სამინისტრო და გზების დეპარტამენტის წარმომადგენლები გეგმავენ, თუ როგორ დაეხმარონ სვანეთის მოსახლეობას ეზოებამდე თივის მიტანაში.

მაგდა პოპიაშვილის თქმით, მესტიის რაიონის სოფელ ლახამულადან ისევ გასახლებულია 20 ოჯახი.

— საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და ჩვენი სამინისტროს თანამშრომლებმა მოახერხეს მეწყერისთვის ტრაექტორია შეეცვალათ. გადაწყდება, როდის მოხდება ამ 20 ოჯახის დაბრუნება საკუთარ სახლებში. უკვე გადაწყვეტილია ლახამულაში ხიდის აგების საკითხი, ვინაიდან, მეწყერმა გზა რამდენჯერმე უკვე დააზიანა და ახალი ხიდის აშენებაა აუცილებელი, — განაცხადა მაგდა პოპიაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, ძლიერმა წვიმამ ბაღდათის რაიონის რამდენიმე სოფელი დატბორა. მძიმე ვითარება შეიქმნა ჩოხატაურის რაიონის 17 სოფელშიც.

---

## კრიმინალი

### ნაპოვნია ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა

სამართალდამცავებმა დიდი ოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს. შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სენაკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1976 წელს დაბადებული რომან რ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა სენაკში, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ეზოში მდებარე დამხმარე ნაგებობის ჩხრეკისას, ნაგებობის ჭერში დამალული სამგზავრო ხელჩანთიდან დიდი ოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა: „ა-კა-ემ"-ის მოდელის 2 და „ა-კა-ეს"-ის მოდელის 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 11 მჭიდით და 193 საბრძოლო ვაზნით, უცხოური წარმოების 1 პისტოლეტი 1 მჭიდითა და 3 საბრძოლო ვაზნით, ასევე, კომბინირებული სანადირო თოფი ამოიღეს.



დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს.

### ქუთაისის რამდენიმე სასტუმროში ბორდელები იყო გახსნილი

შსს-მ პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე 7 ადამიანი დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა პროსტიტუციისათვის ადგილის გადაცემის ბრალდებით ქუთაისში დააკავეს სასტუმრო „ვიქტორიას" მესაკუთრე არჩილ ტ. და ადმინისტრატორი მარინა ლ, სასტუმრო „კოსმოსის" ადმინისტრატორ-მესაკუთრე ნანა ა, სასტუმრო „ლუქსის" ადმინისტრატორ-მესაკუთრე ნუნუ ს. და სასტუმრო „ბაკურის" ადმინისტრატორი ნორა ს. სამართალდამცველებმა ასევე დააკავეს ქუთაისში, აბაშიძის ქუჩაზე მდებარე საუნის ადმინისტრატორი და მესაკუთრე — როზა ტ. და ოთარ კ.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გასამრჯელოს სანაცვლოდ, ქალებს პროსტიტუციისთვის ადგილს უთმობდნენ.

**ინტერპრესი**

---

## კარიკატურისტის თვალით



რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

№185. პარასკევი, 27 სექტემბერი, 2013 წელი.

## სულიერება

# ჯვართამაღლება

**27 სექტემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია თაყვანს სცემს და დღესასწაულობს ამაღლებას პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა.**

...კეთილმსახურმა დედოფალმა ელენემ, რომელიც ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე დიდის დედა იყო, განიზრახა იმ ჯვრის მოძებნა, რომელზეც იესო ქრისტე გააკრეს და საგანგებოდ გაემგზავრა იერუსალიმს.

დედოფალ ელენეს იერუსალიმში უთხრეს, რომ ეს ჯვარი ჩაფლულია მიწაში და ზედ წარმართთა ტაძარია აშენებულიო.

იმპერატორის დედამ ბრძანა, დაეშალათ ტაძარი. ტაძარი დაშალეს და გათხრისას ნახეს სამი ჯვარი და პატარა ფიცარი, რომელზეც ეწერა: „იესო ნაზარეველი, მეუფე ურიათა“.

იმის გასაგებად, თუ რომელი იყო ცხოველმყოფელი ჯვარი, სამივე ჯვარი რიგრიგობით შეახეს მიცვალებულს. ორი ჯვრის შეხებით სასწაული არ მოხდა, მესამე ჯვრის შეხებით კი მიცვალებული აღსდგა!

ასე ამოიტანეს უფლის ჯვარი, ასე აამაღლეს იგი!

იმ დროს ტაძართან უამრავი ხალხი იმყოფებოდა, ისინი ცდილობდნენ, ეხილათ ცხოველმყოფელი ჯვარი.

ცხოველმყოფელი ჯვრის დანახვისას ადამიანები თაყვანს სცემდნენ სიწმინდეს შემდეგი სიტყვებით: „უფალო შეგვიწყალენ“.

წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „ჯვარი არის ჯოჯოხეთიდან ჩვენი გამოხსნის, სიკვდილზე გამარჯვების სიმბოლო, ჩვენი გადარჩენის იარაღი“.

ჯვართამაღლების დღესასწაული მარხვით აღინიშნება; ტაძრებში ჯვარი საზეიმოდ გამოაქვთ და თაყვანს სცემენ ამ დიდებულ სიწმინდეს.



**გიული ლიპარტია**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ჟურნალ-გაზეთებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

### „ფინანსური პოლიციის საქმიანობა უკანონოა!“

– აცხადებენ ადვოკატები ვალერი გელბახიანი და ირმა ჭკადუა, – ეს პოლიცია დანაშაულებრივი სქემით მოქმედებს და საქმეში აგენტ-პროვოკატორებს რთავს. საქმე ეხება ქრთამის აღების გამოაშკარავების საქმეებს. მაგალითად, იყენებენ ვინმე გურამ ივანიშვილს, რომელიც საჯარო მოხელეებს ქრთამს სთავაზობდა, რაც დანაშაულის პროვოცირებას ისახავდა მიზნად. ირმა ჭკადუა და ვალერი გელბახიანი საიას, სახალხო დამცველსა და ადვოკატთა ასოციაციას მოუწოდებენ, დაინტერესდნენ გურამ ივანიშვილის საქმიანობით და პარლამენტში სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნით წინადადება შეიტანონ.

„ახალი თაობა“

### როლანდ ახალაიასთვის ქონების ჩამორთმევას მოითხოვენ

ფოთის ყოფილი გამგებელი დავით ქანთარია ამბობს, რომ როლანდ ახალაიას ფოთში დიდი ქონება აქვს. ის გამოდის ინიციატივით, მოხდეს მისი კონფისკაცია და ახალაიას მიერ დაზარალებულ ხალხს დაურიგდეს.



ინიციატივა უკვე ცნობილია ფოთელებისთვის და ისინი ამას მიესალმებიან.

– ფოთში როლანდ ახალაია ფლობს უზარმაზარ შენობას, რომელიც თავის დროზე ფოთის მერიისთვის იყო განკუთვნილი, – ამბობს დავით ქანთარია, – ეს შენობა იყო დაკონსერვებული, გამოისყიდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ 3 თვის დანიშნული იყო პროკურორად. ჩვენ გაგვამწესეს ციხეებში, თვითონ ეს შენობა დაისაკუთრა და ფუფუნებით ცხოვრება დაიწყო.

„ალია“

### წლის ბოლომდე უარყოფითი სავაჭრო სალდო კიდევ 25 პროცენტით შემცირდება

საქართველოს უარყოფითი სავაჭრო სალდოს შემცირება ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი სიგნალია, სპეციალისტების შეფასებით, ეკონომიკური გაჯანსაღების პროცესები დაიწყო და ტენდენცია თუ გაგრძელდა, ქვეყანას ეძლევა რეალური შესაძლებლობა, სალდო გაცილებით მეტი მაჩვენებლითაც შეამციროს. თუმცა, ექსპორტისა და იმპორტის დასაბალანსებლად უახლოესი რამდენიმე წელიც არასაკმარისია, რადგანაც ქვეყანას წლების განმავლობაში უზარმაზარი უარყოფითი სავაჭრო სალდო ჰქონდა.

„რეზონანსი“

## დაიჯესტი

### ნუნადან ამაზიამდე

**მკვლევართა ჯგუფმა დიდი ოსტატობით წარმოაჩინა, თუ როგორი იქნება დედამიწა 100 მილიონი წლის შემდეგ.**

ამ წარმოუდგენლად შორეულ მომავალში ჩვენს პლანეტას დღევანდელისგან სრულიად განსხვავე-



ბული სახე ექნება, რაც კოსმოსიდან კარგად გამოჩნდება. კონტინენტები,რომლებიც დედამიწის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე მუდამ მოძრაობდნენ და ახლაც განაგრძობენ გადაადგილებას, ერთ უზარმაზარ სუპერკონტინენტად შეერთდებიან. მის საფუძველს აზია და ამერიკა შექმნიან, რის შედეგად ჩამოყალიბდება ამაზია. ეს შედეგი კომპიუტერულმა მოდელმა მისცა იელის უნივერსიტეტის გეოლოგებს, რომლებმაც ის შექმნეს.

**– ჩრდილოეთამერიკელები ევრაზიელებს დაახლოებით ჩრდილოეთ პოლუსის რაიონში შეხვდებიან,** – განაცხადა პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა როს მიტჩელმა.

**არსებითად, სუპერკონტინენტი პოლარული იქნება, სადაც მომავლის ადამიანებს, ჩვენს შთამომავლებს, ანდა ვინც იქნებიან მათ შემდეგ, არსებობისთვის არცთუ ხელსაყრელი პირობები ექნებათ. საქმე ისაა, რომ 100 მილიონი წელი – ძალიან დიდი დროა, რომლის განმავლობაში დედამიწაზე გონიერი არსებები, შესაძლოა, რამდენჯერმე შეიცვალონ.**

მეცნიერთა აზრით, სუპერკონტინენტები დედამიწაზე შორეულ წარსულშიც არსებობდნენ, მათგან ბოლო **პანგეა** იყო, რომლის ცენტრში თანამედროვე აფრიკა მდებარეობდა და რომელიც 200 მილიონი წლის წინათ **გონდვანად** და **ლავრაზიად** გაიხლიჩა. მათგან კი მერე თანამედროვე კონტინენტები წარმოიშვნენ.

პანგეამდე კი, დაახლოებით მილიარდი წლის წინათ, იყო **როდინია.** როდინიამდე კი – მილიარდნახევარი წლის წინათ– **ნუნა.**

დედამიწის შორეული მომავლის ალტერნატიული ვერსიით, ზომით ამაზია, იელის უნივერსიტეტის გეოლოგების მიერ ნაწინასწარმეტყველებზე უფრო პატარა იქნება. თანაც ანტარქტიდა და სამხრეთ ამერიკა ძველ ადგილებზე დარჩებიან და სუპერკონტინენტს არ შეერწყმებიან.

### ნაკლები რომ სვათ და ჭამოთ

**მათ, ვისაც სურს, რომ ნაკლები საკვები მიიღოს, წითელი ფერის თეფშები უნდა შეიძინონ, ასეთია გერმანელ და შვეიცარიელ მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგი.**

მოხალისე სტუდენტებს მეცნიერებმა ჭურჭლის



ამორჩევა შესთავაზეს, რომლებიდანაც ისინი დალევდნენ და უმრავლესობამ ლურჯი ფერის კათხები აირჩია, წითელი ფერის კათხებს კი უმრავლესობამ თავი აარიდა. ამის გარდა სტუდენტებს წითელ, ლურჯ და თეთრ ლამბაქებზე დალაგებული ნამცხვარი შესთავაზეს. ისინი, ვინც წითელი ლამბაქებიდან ჭამდნენ, სხვაზე ნაკლები ნამცხვარი დააგემოვნეს. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ **წითელი ფერის ჭურჭელი ჭამა-სმის სურვილს ამუხრუჭებს, ამის მიზეზი კი ისაა, რომ ეს ფერი საფრთხესთან ასოცირდება, ამიტომაც კაცს გუნებაში „სდექს“ათქმევინებს.**


**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“

299-62-77; 599 32-85-76.


## ცინცხალი ანეკდოტები

– **როგორ** გახდით მილიონერი? – ეკითხებიან ტიპს.

– ცოლის წყალობით.

– ?

– მაინტერესებდა, როდის მიატოვებდა იგი წუწუნს ფულის უკმარისობის თაობაზე.

– და როდის მიატოვა?

– ვინ გითხრათ, რომ მიატოვა?

* * *

– **როგორ** მოგწონთ მოსკოვი? – ეკითხებიან იაპონელს.

– კარგია. სისუფთავეა, სიწყნარეა და ხალხიც ცოტაა...

* * *



**დაშას** მამაკაცი შორიდან ძალიან მომხიბვლელი მოეჩვენა, მაგრამ როცა მიუახლოვდა, შეამჩნია, რომ ხელი საქორწინო ბეჭდით ჰქონდა დამახინჯებული.

* * *

**ცოლი** ღამის ორ საათზე დიდი წვალებით აღვიძებს ქმარს.

– რა იყო? – კითხულობს იგი შეშფოთებით.

– მართლა ასე ძალიან გინდა?

* * *

– **ვასკა,** როგორ გაქვს საქმე შენს ახალგაზრდა ცოლთან?

– არცთუ ისე კარგად. სულ ფულს თხოულობს, დილითაც, შუადღესაც და საღამოსაც.

– მერე რას უშვება ამდენ ფულს?

– ვინ აძლევს, რო?

## კადრი




ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
საარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24